





~~John Deaderick~~
~~passenger~~

~~A. Chapman~~

ՀՅԱԼԵ ՀՅՈՒԱԼՄԱՆ
ԹԱՎԱՐԱՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՀՅԱԼԵ



Հյօնելով

Հ. Ռայելանիս-Ցոյն

Համար 1234567890

Համար 1234567890

ԵՐԵՎԱՆ Հ. և Կ. ԳՈՅՉԱՆԻ ԱԲՐԱՄՅԱՆ || Տիպոգ. Մ. Դ. ՌՈՒԲԻՆՅԱՆ
1897 թ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Сентября 1896 г.

§ I. შესავალი.

დაბადების დროს ადამიანი წარმოადგენს ისეთ არსებას, რომელმაც სრულიად არ იცის რა პრატყის თავზე და არც გარეშე ქვეყნიერებაზე. მაგრამ ამასთანავე იგი ისეთი არსებაა, რომელსაც შემდეგ შაუქლია გაიცნას და შეისწავლოს ყველაფერი. იგი, ერთი მხრით, ისეთი სულიერი არსებაა, რომ დაბადებიდამცე თან დაკოლილი აქვს როგორც მოთხოვნილება ცოდნის შეძენისა, ისე ყოველი ნიჭი ანუ ძალა, რომელიც-კი საჭიროა ამისთვის. მეორე, მხრით, სული მისი არის ხორც-შესხმული და აღჭურვილია ხუთი გარევანი გრძნობით, რომლების საშუალებითაც შაუქლია მას გაიცნას ყოველი საგანი და მისი თევისება. თვით თავის თავს-კი ადამიანის სული ცნობილობს უსაშვალოდ, საკუთარი თვით-ცნობობით.

ადამიანს აქვს მინიჭებული სამი უმთავრესი სულიერი ნიჭი: გონება, გრძნობა და ნება.

პირველი ნიჭის მოქმედება იმაში რჩატება, როგორამიანი ცნობილობს როგორც თავის თავს, ისრე-

სხვა-და-სხვა გარეშე საგნებს, ადარებს მათ ერთმანერთს, არჩევს ერთს მეორისაგან და ამ გვარად არღვენს მათზე წარმოდგენასა და შემდეგ ცნებებს. მერმე უახლოვებს ერთმანერთს შეძენილ წარმოდგენებსა და ცნებებს, ადარებს იმათ გონებაში, ჰპოულობს მათ შორის მგზავრებას ანუ განსხვავებას და ამგვარად ფიქტოს ანუ ჭიროვნებს და სჯის მათზე. ამიტომაც ამ უმთავრესს ნიჭის ჩვენ ცოდნის ნიჭს ანუ გონებას გეძახით.

მეორე უმთავრესი ნიჭის მოქმედება მდგომარეობს მასში, რომ გაცნობილი საგნების გავლენა აღძრავს ხოლმე ადამიანის გულში მრავალ სხვა-და-სხვა ნაირ გრძნობას: სიხარულს ან მწუხარებას, შიშის ანუ გაბედულობას, სიბრალულს ანუ შეუბრალებლობას, სიყვარულს ანუ მძულვარებას, სირცხვილს. ანუ ამპარტენებას, კმაყოფილებას ანუ უკმაყოფილებას და სხვ. ერთი სიტყვით სასიამოვნო ანუ უსიამოვნო გრძნობას. ეს არის მოქმედება იმ უმთავრესი სულიერი ნიჭისა, რომელსაც გრძნობას ანუ გრძნობელობის ნიჭს უწოდებენ.

საგნების ცოდნა და გამოცვილი გრძნობა აღძრენ ხოლმე ჩვენში სურვილს, რომლის აღსრულება ჩვენ გვნებავს ანუ არა გვნებავს, და, ამის მიხედვით, ჩვენ მას ველტვით ანუ ვერიდებით. ეს მოქმედება ეკუთვნის იმ უმთავრესს სულიერ ნიჭს, რომელსაც ჩვენ ვეძახით ხებას ანუ ნებელობის ნიჭს.

ამ გვარად, ადამიანს აქვს სამი უმთავრესი სული-
ერი ნიჭი: ნიჭი ცოდნისა, ნიჭი გრძნობისა და ნიჭი
ნებლობისა, ანუ მოკლედ: გონება, გრძნობა და ნება.
ყოველი ჩეენი სულიერი მოქმედება უსათუოდ ერთ-
ერთს ამ სამ ნიჭთაგან მომდინარეობს და იქ აქვს
სათავე. მაგრამ, ამასთანავე, საჭიროა, ვიცოდეთ,
რომ სამივე ოინი არიან საშვერი მოქმედება ერთი
და იგივე განუყოფელი სულისა.

იმ მეცნიერებას, რომელიც ეხება საზოგადოთ
ადამიანის სულს, იკვლევს მას, ანუ ყოველ მის თვი-
სებას, ნიჭსა და მოქმედებას, ჰქვიან ჰსიხოლოგია.
მაგრამ ამასთანავე არის ისეთი მეცნიერება, რომელ-
საც განსაკუთრებით მარტო გონების მოქმედების—
ჸაზროვნების გამოკველევა აქვს თავის საგნად. ამ მეც-
ნიერებას უწოდებენ ფოლიკას.

§ 2. გარეგანი გრძნობები.

გარეშე ქვეყნის ყოველ საგანსა და მოვლენას
ჩეენ ვცნობილობთ გარეგანი გრძნობების საშეალე-
ბით. იგინი არიან შუამდგომელნი სულსა და გარე-
შე ქვეყნიერების შორის წოლმე და ისეთი მნიშვ-
ნელობა აქვსთ სულის გახსნისა და განვითარების-
თვის, რომ უიმათოდ ადამიანს არ შეუძლია გაიცნას.
და შეისწავლოს ის საგნები, რომლებიც მას გარს
არტყია. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც-კი ადა-

მიანმა იცის გარეშე ქვეყნიერების შესახებ, გაცნობილი აქვს გარეგანი გრძნობების შემწეობით.

ადამიანს აქვს ბუთი გარეგანი გრძნობა: მხედველობა, სმენა, შეხება, გემოვნება და ყნოსვა. თვითეულ გრძნობას თავისი საკუთარი ორგანო აქვს. ორგანო მხედველობისა თვალებია, სმენისა ყურები, შეხებისა—ხელის თითები და საზოგადოთ მთელი კანი; გემოვნებისა—ენა, ხოლო ყნოსვისა—ცხვირი. ამ ბუთი გრძნობით ადამიანს შეუძლია გაიცნას თითქმის ყოველი ფვისება საგანთა.

მხედველობის უმთავრესი და სპეციალური დანიშნულება არის ნათელისა და სხვა-და-სხვა ფერების გაცნობა, მაგრამ ამას გარდა, ამ გრძნობის საშუალებით ადამიანს შეუძლიან საგანთა სხვა მრავალ გვარი თვისებანიც გაიცნოს, როგორც მაგალითად, ფორმა საგანისა, სიდიდე, მდებარეობა, სიშორე და სხვანი. ამ გრძნობას ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს საგნების გაცნობისთვის და მაშა-სადამე ადამიანის სულიერი გახსნისთვის. არც ერთ გრძნობას არ შეუძლია მხედველობის მაგიერი სამსახური გაუწიოს. ადამიანს. ის შთაბეჭდილებანი, რომლებითაც ადამიანი ამ გრძნობის შემწეობით მდიდრდება, უფრო ცხადნი, გარკვეულნი და საფუძვლიაში არიან, ვიდრე სხვა გრძნობებით შეძენილნი შთაბეჭდილებანი.

სმენის საკუთარი დანიშნულება არის საზოგადოთ ყოველი სულიერი და უსულო საგანთა სმის

გაფონება და გაცნობა: ხმას ადამიანი, თვინიერ სმენისა, ვერც ერთი გრძნობით ვერ გაიგებს. ყრუს დაბადებიდგან, მგალითად, სრულებით არ აქვს წარმოდგენა არა ვითარ ხმაზე, როგორც ბრმას ფერსა და სინათლეზე ხოლმე. თუმც სმენის საკუთარი დანიშნულება საგნების ხმის გაცნობაა, მაგრამ, ამას გარდა, ამვე გრძნობით შეგვიძლიან ვიცნოთ ხმით თვით საგანის რაობა ანუ ვინაობა, მისი რაოდენობა, სიშორე და მდებარეობაც მსმენელისაგან. საჭიროა ისიც ვიცნოდეთ, რომ ნიჭი მეტყველებისა დამოკიდებულია სმენის ქონებაზე: ვინც დაბადებით ყრუ არის, ის უთუოდ მუნჯიც არის, რადგანაც მას არც სხვისი ხმა და არც თავისი საკუთარი არ ესმის.

შეხების შემწეობით ადამიანი გებულობს საგნის ტემპერატურას, ესე იგი იმას, ცავია, თუ თბილი საგანი, გარეგნობასა და სიმჭურივეს (სიმაგრესა და სიღბილეს). ამ გრძნობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის. ამ გრძნობის ორგანოს, როგორც ზემოთაც ვსთვეით, ხელის თითებს გარდა, შეარდგენს მთელი სხეულის კანი, რომლის ქვეშაც ნერვები თავდებიან და ამიტომაც სულს შაუდლია მიიღოს შთაბეჭდილება გარეშე ქვეყნიდგან მთელი სხეულის საშუალებით. სითბოსა და სიცივეს ამ გრძნობის გარდა ვერც ერთი გრძნობით ვერ გაიგებს ადამიანი. ამას გარდა ყველა სხვა ჩვენი გარეგანი გძნობები მხოლოდ მაშინ მოქმედებენ, როცა იმათ გარედამ

საგანი შეეხება, ანუ ისინი საგანს შეეხებიან ხოლმე, მაგალითად: აღამიანი საგანს მაშინ ჰქედავს, როცა მისგან წამოსრული სინათლის სხივები თვალს მოხვდება ხოლმე; სმენითაც მაშინ ესმის, როცა ხმა ანუ ჰაერის მოძრობა ყურამდის მიაღწევს; გემოს მაშინ ტყობილობს, როცა საკემო საგანი ენის წვერს შეეხება; სუნს მხოლოდ მაშინ იგრძნობს, როცა საყნოსველი საგნის უხილავი ნაწილები ცხვირის შინაგარსს მოხვდებიან ხოლმე.

გემოვნების დანიშნულება ის არის, რომ მისი შემწეობით ვევბულობთ ჩვენ სასმელ-საჭმელისა და სხვა საგანთა იმ თვისებას, რომელსაც საზოგადოთ უწოდებენ გემოს, ესე იგი: სიტყბოს, სიმწარეს, სიმჟავეს და სხვანი.

ყნოსეით აღამიანი იგებს და სცნობს საგნების იმ თვისებას, რომელსაც სუნს ვეძახით: არც ერთს სუნს ხალხთა ენაში საკუთარი სახელი არა აქვს, ამიტომ ან იმ საგნის სუნს ეძახიან, რომელსაც ჰყნოსენ (მაგ, ვარდის სუნი) და ან კიდევ ორად ჰყოფენ: კარგი სუნი, ცუდი სუნი.

ამ ხუთ გრძნობას გარდა, რომელთაგან თვითეულს საკუთარი თვისი ორგანო აქვს, აღამიანს კი დევ აქვს ერთი, ეგრეთ წოდებულ, საზოგადო გრძნობა. ამ საზოგადო გრძნობის საშვალებით სული ტყობილობს საკუთარი თვისი სხეულის მდვომარეობას, ანუ, უკეთა ვსოდეთ, ყველა იმ ცვლილებას, რომე-

ლიც სხეულში მოხდება ხოლმე. მაგალითად: ტკი-
ვილს, შიმშილს, წყურევილს, სისუსტეს და სხვა. ამ
გრძნობის საზოგადო ორგანოებს შეარდგენერ, ესრედ
წოდებული, საკრძნობელი ნერები, რომლებიც გა-
კრცელებული არიან მთელ სხეულში.

ადამიანის სული თავის-თავს, ანუ ყველაფერს,
რაც-კი თვითონ ჩასში მოხდება ხოლმე, გებულობს
და სცნობს უსაშეალოდ, ასე რომ ყურადღებისა,
დაკვირვებისა და გამოცდის მეტი არა უნდა რა, რომ
სულმა თავის თავი გაიცნას და შეისწავლოს ხოლმე.

§ 3. პაზროვნება და განსაზღვრა ლოგიკისა.

ერთი უმთავრესი - სულიერი ნიჭი ადამიანისა,
როგორც ვსტკვით, არის გონება ანუ ცოდნის ნიჭი.
მაგრამ ცოდნის შეძენა გონებას ისე არ შეუძლია,
თუ არ იფიქრა საგნებზე ანუ არ იპაზროვნა, ესე
იგი, თუ არ წარმოიდგინა იგინი, არ შეადარა ერთ-
მანერთს, არ იპოვა მზგავსება და განსხვავება, ერთი
პაზრი მეორეს არ დაუკავშირა, ერთისაგან. მეორე
არ გამოიყვანა და არ დასკვნა. გონების ესეთ მოქ-
მედებას ეწოდება ჭარბოვნება. მაშასადამე პაზროვნება
არს ისეთი მოქმედება გონებისა, რომლის საშეალე-
ბით ადამიანი იძენს ცოდნას.

მაგრამ შეიძლება კაცმა იპაზროვნოს საგანზე

როგორც მართლად ანუ ჭეშმარიტად, ისრე შეც-
დომით; ჭეშმარიტ ჰაზროვნებას მიყავს გონება ჭეშ-
მარიტ ცოდნაში, შემცდარ ჰაზროვნებას-კი შეცდო-
მაში. ამიტომაც, რომ არ შევსცდეთ და ნამდვილი
ცოდნა შევიძინოთ, მიუცილებლად საჭიროა, ვიცო-
დეთ ის პირობები, რომლების აღსრულებასაც მო-
ითხოვს ხოლმე ჭეშმარიტი ჰაზროვნება. თუმც ჩვენ
ეს პირობები არ გეცოდინება და არ აღვასრულებთ,
მაშინ ჭეშმარიტი ჰაზროვნება შეუძლებელია. და ადა-
მიაწის გონება უფრო ადვილად დაიბნევა და შეც-
დება ხოლმე.

ნამდვილი ანუ ჭეშმარიტი ჰაზროვნებისთვის,
საჭიროა ვიცოდეთ და დავიცვათ შემდეგი პირობები:

1) საზოგადო ლოლიკური კანონები, რომელ-
თაც უნდა ემორჩილობდეს ივი თვისი მიზნის მი-
საღწევად, ესე ივი, ჭეშმარიტის ცოდნის შეძენისთვის.

2) უმთავრესი ლოლიკური ფორმები, რომელ-
შიაც გამოიხატვის მისი მოქმედება.

• 3) ჰაზროვნების მეთოდები.

სწორეთ ამ კანონების, ფორმებისა და მეთო-
დების განხილვა, მოთავსებულია ლოლიკაში. მაშასა-
დამე, ლოლიკა არს ისეთი მეცნიერება, რომელიც
განიხილავს ხოლმე ჰაზროვნების კნონებს, ფორმებსა
და მეთოდებს.

II.

§ 4. ჰაზროვნების ძირითადი კანონები.

ყოველი მოქმედება საზოგადოთ უთუოდ უნდა ექვემდებარებოდეს ერთს რომელსამე განსაზღვრილ ჭანონს, თუ უნდა, რომ ნამდვილი იყოს და მიაღწიოს, რასაც ელტვის ამიტომ, რადგან ჰაზროვნებაც მოქმედებაა გონებისა, რომელიც ელტვის ნამდვილი ცოდნის შეძენას ანუ ჭეშმარიტებას, იგიც უთუოდ უნდა ემორჩილებოდეს თავის კანონებს. უამისოთ ის არ იქმნება ჭეშმარიტი ჰაზროვნება და ვერც თავის მიზანს მაილწევს.

ჩვენს ჰაზროვნებას აქვს ოთხი უმთავრესი ანუ ძირითადი საზოგადო კანონი. პირველ კანონს ეწოდება კანონი იგივეობისა, მეორეს კანონი თავის ჰაზრის გაწმელებისა, მესამეს-კანონი მესამის გამორიცხვისა, ხოლო მეოთხეს-კანონი საგმაო საფუძვლიანობისა.

ა.) კანონი იგივეობისა მოითხოვს, რომ ჩვენ საგანი უთუოდ უნდა მიგვაჩნდეს იმად, რაც არის იგი და არა სხვა რამედ. მაგალითად, აღამიანი ყოველთვის უნდა მიგვაჩნდეს აღამიანად, პირუტყვი პირუტყვად, მცენარე მცენარედ, ქვა ქვად, წყალი წყლად, მიწა მიწად, კეთილი კეთილად, ბოროტი ბოროტად, თეთრი თეთრად, შავი შავად, ჭეშმარიტება ჭეშმარიტებად, ტყვილი ტყვილად, და სხვ. ამ საზოგადო და გონებისთვის საფალდებულო კანონის

ქალით, ერთი და იგივე საგანი ყოველ კაცს, ყოველ-
თვის უნდა მიაჩნდეს ერთ და იგივედ, ესე იგი, სწო-
რედ იმად, რაც არის იგი, და არა სხვად რამედ. ამი-
ტომაც იმ ლოლიკურ კანონს, რომლის ძალითაც სა-
კალდებულოა ჰაზროვნებისთვის უთუოდ ასრუ მო-
იქცეს, ეწოდება კანონი იგივეობისა; რადგანაც მიჩე-
ნა ანუ მიღება საგნისა იმად, რაც არის იგი ბუნე-
ბით, ნიშნავს ღივეობას, ესე იგი თავის-თავის თანას-
წორებას. ამ კანონის ძალით ყოველ ადამიანს მიაჩ-
ნია, მაგალითად, და სწამს, რომ ორჯელ ორი ოთ-
ხია და არა მეტი ანუ ნაკლები, რომ მთელი საგანი
თვის ნაწილზე უდიდესია და სხვ. როცა გონება ამ
ძირითადი კანონს არ ემორჩილება ანუ არღვევს, ესე
იგი, თუ მას რომელიმე საგანი, რომელზედაც ჰაზ-
როვნებს, არ მიაჩნია იმად, რაც არის იგი, არამედ
სხვა რამედ სთვლის, მაშინ იგი სცდება და მაშასადა-
მე მისი ჰაზრი ანუ მსჯელობა ჭეშმარიტი არ იქმნე-
ბა. ესეთ შეცდომაში ვარდება გონება უმეტესად მა-
შინ, როცა კაცმა ზედ მიწევნით არ იცის ის საგა-
ნი, რომელზედაც სჯის ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ ზო-
გი ერთი კაცი განგებაც უხვევს გვერდს ამ კანონს
და სცილილობს, ზოგიერთი პიროვნული მოსაზრებით,
შაიყვანოს სხვა შეცდომაში, მიაღებინოს ტყვილი
მართლად ანუ ჭეშმარიტად.

ბ.) როცა ჩეენ რომელიმე საგანზე ვსჯით, მა-
შინ ან მივაწერთ მას რასმეს და არა. საგანს ჩეენ

უნდა ვაკუთნოთ და მიერწეროთ ის, რაც მასში მო-
იპოვება ნამდეილად, და არ უნდა მიერწეროთ ის,
რაც მას არ ეყუთვნის. მდიდარზე მაგალითად ჩეენ
ვამბობთ, რომ იგი მდიდარია, ღარიბზე, რომ ის არ
არის მდიდარი, კეთილს კაცს უწოდებთ კეთალს და
არა ბოროტს; მართალს კაცს-მართალს და არა მტყუ-
ანს და სხვ. მაშასადამე ჩეენ არა გვაქვს უფლება ერთ-
სა და იმავე საგანს, ერთსა და იმავე ღროს კიდეც მი-
ერწეროთ რამე და არც მიერწეროთ იგი ხოლმე. არა
გვაქვს უფლება, მაგალითად, ერთსა და იმვე ადა-
მიანს შეცნიერიც უწოდოთ და უმეტარიც. ამიტომ
რომ ეს იქმნებოდა თავის ჰაზრის გაწმილება ანუ
უარპყოფა.

ამიტომაც იმ ლოლიკიურ კანონს, რომელიც
ვალდებულ ჰყოფს ჩეენ ჰაზროენებას ასრე არ მო-
იქცეს, ეწოდება კანონი თავის ჭარბის გაწმილებისა.
თავის გაწმილება არის ისეთი ჰაზროენება, რომე-
ლიც თვითონვე უარ-ჰყოფს იმ ჰაზრს, რომელიც
უნდა დაამტკიცოს; ანუ, ჰარ-იქათ, თვითონვე ამტ-
კიცებს მას, რაც უნდა უარ-ჰყოს. ამ გვარი თავის
ჰაზრის გაწმილება შეიძლება ორ ნაირი იყოს: ცხა-
დი და დაფარული ანუ შეუმჩნეველი. თავის ჰაზრის
ცხადი გაწმილება მაშინ იქმნება, როცა ვინმე ერთსა
და იმავე ღროს განვებ კიდეც ამტკიცებს რასმეს
და კიდეც უარ-ჰყოფს მას. ჩეენ რომ ერთს ღროს
ვისმეს განვებ გონიერიც უწოდოთ და უკნურიც,

ეს იქმნება ცრადი თავის ჰაწბილება. მაგრამ ეგრეთი ცრადი ლოლიკური შეცდომა იშეიათად მოხადება ხოლმე. უფრო ხშირად მსჯელობში ჩვენ შეუმჩნეველ თავის ჰაზრის გაწბილებას შევხვდებით. ბევრჯერ ადამიანი, როცა დიდ ხანს საუბრობს, ანუ სწერს და სჯის ერთს რომელმე საგანზე, თვითონაც ვერ ამჩნევს ისე უარ-ჰყოფს იმას, რაც უნდა თვითონ დამტკიცოს ხოლმე, ანუ, პირ-იქით, შეუმჩნევლად ამტკიცებს იმ ჰაზრის ჭრარიტებას, რომელიც თვითონ უნდა უარ-ეყო და დაერღვია ხოლმე. ესეთი გაწბილება საკუთარი ჰაზრისა იქმნება, მაგალითად, როცა ვეჭილს სურს, რომ ბრალდებული გაამართლოს, მაგრამ შეუმჩნევლად ისეთ მის მოქმედებას მოიხსენებს და განმარტავს, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი დანაშაურია.

გ.) მესამე ლოლიკური კანონის ძალით 'ჩვენი გონება ვალდებულია ან მიიღოს რომელიმე ჰაზრი და ან უარ-ჰყოს იგი; ერთსა და იმავე კითხვაზე უპასუხოს გადაჭირილი: ან ჭრა და ან ჯრა. გარნა არა აქვს უფლება სთქვას: არც ჭრა და არც ჯრა, არამედ მესამე სხვა რაიმეო, რადგანაც ეს შეუძლებელია. იმ ლოლიკურს კანონს, რომელიც ვალდებულ ჰქონის ჩვენ გონებას უთუოდ ასრე მოიქცეს, ეწოდება კანონი მესამის გამორიცხვისა, რადგანაც ეს კანონი მოითხოვს ჰაზრივნებისაგან არა სუნას არა-ფერი მესამე დამტკიცებისა და უარჰყოფის შორის.

ამ კანონის ძალით, ჩვენ არა გვაქს, მაგალითად, უფლება ვითიქროთ ასრე: ესა და ეს ჰაზრი არც მართალია და არც ტყუილიო; ესა და ეს მოქმედება არც ცუდია და არც კარგიო; ეს ბრალდებული არც მტყუანია და არც მართალიო და სხვ.

დ.) როცა ჩვენ რასმეს ვამტკიცებთ ანუ უარ-ვყოფთ, უთუოდ უნდა საკმაო საფუძველი გვქონდეს. უამისოდ, ესე იგი თუმც არა გვაქვს საფუძველი, რომლიდგანაც ჩვენი ჰაზრის სიმართლე სჩანს, არავინ არ დაგვერწმუნება. აქედამ, იმ საზოგადო ლოლიკურ კანონს, რომელიც ითხოვს ჰაზროვნებისაგან, რომ ყოველს შემთხვევაში, როცა იგი ამტკიცებს რასმეს, თუ უარ-ვყოფს, უთუოდ საკმაო საფუძველი უნდა ჰქონდეს, ეწოდება კანონი. საგმაო საფუძვლიან-აბისა. როცა ამტკიცებენ, მაგალითად, რომ სწორი ხაზი არს უუმოკლესი მანძილი ორთა წერტილთა შორისო, ამის საკმაო საფუძვლათ მოყავთ ის, რომ ორ წერტილთა შორის შეუძლებელია ერთი სწორი ხაზის მეტი გაიელოს. რომ ვამბობთ, რომ რუსთაველი უველა ჩვენ ძეველს პოეტებზე უფრო მაღლა სდგასო, ამის საკმაო საფუძველს წარმოვედგენს მისი უკვდავი პოემა „ვეფხვის-ტყაოსანი“ და სხვ.

II.

ჰაზროვნების უმთავრესი ფორმები.

§ 5. წარმოდგენა.

ჩვენა ვსთქვით, რომ დაბადების დროს ადამიანმა სრულიად არა იცისთქოდა მხოლოდ შემდეგ, ჰაზროვნების შემწეობით, იძენს ყოველ გვარ ცოდნასთქო. მაგრამ ჰაზროვნებისთვის უსათუოდ საჭიროა საგანი ჰაზროვნებისა, ამიტომ რომ არაფერზე ფიქრი ყოვლად შეუძლებელია. სხვაუერ რომ ვსთქვათ, თუ ადამიანს წარმოდგენები და ცნობები არა აქვს, მაშინ მას ჰაზროვნება არ შაუძლია. ამიტომ ჯერ-ჯერობით ჩვენ უნდა შავიტყოთ, რა ნაირად უჩნდებიან ადამიანს წარმოდგენები და ცნებები.

ყოველი საგანი, გინდ მოვლენა, რომელსაც-კი ადამიანი ეხება რომელიმე თვისი გრძნობის ორგანოთი, ესე იგი, ან ხელავს, ან ისმენს, ან ყნოსავს და სხვანი, მოქმედობს მასზედ, ანუ, როგორც ანბობენ, ახდენს ხოლმე მთაბეჭდილებას, ესე იგი, თვისება საგნისა იბეჭდება გრძნობის ორგანოზე. ეს გავლენა ანუ შთაბეჭდილება საგნისა მოქმედობს საგრძნობელ ნერვზე, რომელიც აერთებს ორგანოს თავის ტეინთან. ამ ნერვის საშვალებით შთაბეჭდილება მსწრაფლ

შიდის თავის ტეინამდის, სადაც ჩვენ მას ვიგებთ ანუ ვიგრძნობთ ხოლმე და ვითვისებთ, ამგვარად გარდა-
დის შთაბეჭდილება ყოველი საგნისა ჩვენს ცნობაში. მაგრამ საჭიროა გვახსოვდეს, რომ ყველა შთაბეჭდი-
ლება როდი გარდადის ჩვენი სულის ცნობაში, არა
შედ მხოლოდ ის შთაბეჭდილება, რომელსაც სული
ყურადღებას მიაქცევს ხოლმე. თუ-კი ადამიანმა ჯე-
როვანი ყურადღება არ მიქცია იმ საგანს, რომელიც
მოქმედობს რომელმე გარეგან გრძნობაზე, მაშინ
ზევრიც რომ იმოქმედოს საგანმა, მისი შთაბეჭდილე-
ბა ან სულ არ გარდავა ცნობაში და ან კიდევ ისეთ
სუსტს კვალს დასტოვებს, რომ დიდი მნიშვნელობა
არ ექმნება ხოლმე გონებისთვის. როცა, მაგალითად,
ჩვენ ძრიელ გართული ვართ რითიმე, ვერ ვამჩნევთ
და ვერა ვგრძნობთ, რა ჰქილება ჩვენს გარეშემო.
თუმც შეგირდმა ყურადღება არ მიაქცია მასწავლე-
ბლის ლაპარაკს კლასში, იგი ვერაფერს ვერ შეიძენს
და დაიხსომებს, რაც უნდა ბევრი ილაპარაკოს უკანა-
სკნელმა. მისთვის, რომ ჯეროვანი შთაბეჭდილება
მიიღოს ადამიანმა საგნისაგან, ყურადღების გარდა,
სხვაც ბევრი პირობაა საჭირო, როგორც მუსლიმები,
ორლანების სისალე და მთელი სხვულების ხორმა-
ლური მდგომარეობა, საგნის სიახლოვე ანუ სიშო-
რე, იმ ორგანოსაგან, რომელზედაც საგანო მოქმე-

დობს *), შთაბეჭდილების საჭირო ხანს გაგრძელება
და ხშირად განმეორებაც და სხვანი.

მაშასადამე, იმისთვის, რომ ადამიანმა იგრძნოს
და სკნას შთაბეჭდილება, უსათუოდ საჭიროა ორი
პირობა: ერთი ის, რომ თვით საგანმა უნდა მოახ-
დინოს ჯეროვანი გავლენა რომელსამე გარეგან გრძ-
ნობაზე, და მეორეც, სულმა ჯეროვანი ყურადღება
უნდა მიაქციოს ხოლმე მას.

თვითეული შთაბეჭდილება საგნისა, თუმცა იგი
ჯეროვანი იყო და ჩვენც ყურადღება მიეკციეთ,
სტოვებს ჩვენ გონებაში უხილავ კვალს. ანუ უკეთა
ვსთქვათ, ყოველი შთაბეჭდილება, რომელსაც კი იგ-
რძნობს და სკნობს სული, ინახება მასში, ვითარება
სხოვნა. ამისათვის ჩვენ გვაქვს მოცემული ღვთისა-
გან ერთი ძეირფასი ნიჭი, რომლსაც მეხსიერება ქვი-
ან. ამ ნიჭის დანიშნულება, როგორც თვით სახელიც
გვიჩვენბს, ის არის, რომ ყველაფერი რაცკი სულს
ოდესმე უგვრძნია და უცვენია, შაინახოს, დაიხსომოს
და, როცა საჭიროა, გაგვახსენოს ხოლმე კიდეც. მე-
ხსირებას ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის
თვის, რომ უმისოდ იგი სწორედ სარკეს ემგვანებო-

*) თვალით, მაგალითად, ვერც ძრიელ შორის დაინა-
ხავს კარგათ ადამიანი საგანს და ვერცა მეცის-მეცად ახლოს;
ყურით მხოლოდ მაშინ გაიგონებს კარგათ, როცა ის საგანი,
რომლიდგანაც ხმა ისმ. ს, საჭირო მანძილზეა და სხვ.

და, რომელშიც თუმც მრავალი საგნის სახე იხატება
მაგრამ საგნის მოშორებისა თანავე ჰქონდა, არაფერი
კვალი არა ჰქონდა და ამიტომაც მარად ცარიელია.
ერთი სიტყვით, ადამიანს რომ მეხსიერება. არა ჰქო-
ნდა მინიჭებული, მისი გონების გახსნა და ვანვი-
თარება ცოდნით ყოვლად შეუძლებელი იქმნებო-
და. მეტი არ იქმნება, აქ ისიც შევნიშნოთ, რომ,
მრავილი სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, ყველა ადა-
მიანს ერთ ნაირი კარგი მეხსიერება არა აქვა: ზოგი-
ერთს ადამიანს ისეთი მეხსიერება აქვს, რომ გაკვი-
რებაში მოვყევართ, ზოგს ჩვეულებრივი და ზოგსაც
სუსტი. რაღა თქმა უნდა, რომ კარგი მეხსიერების
პატრონი ადამიანი, უფრო ბევრ ცოდნას შაიძენს
ხოლმე. მეხსიერების შეწევნით საგნები, რომ-
ლებიდგანაც ჩვენ შთაბეჭდილება მიგვიღია ოდესმე,
როცა გავიხსენებთ იმათ, ხელახლად, წარმოგვიდგე-
ბიან გონებაში იმ გვარადვე, როგორიც იყვნენ მა-
შინ, როცა იგინი პირ-და-პირ მოქმედობდნენ ჩვენ-
ზე. ჩვენ შეგვიძლია, მაგალითად, ცხოველად წარმო-
ვიდგინოთ სრული სახე. გარდაცვალებული ჩვენი
მშობლებისა, ნათესავებისა და ნაცნობებისა, ხმა მომ-
ლერალთა, რომელიც ოდესმე მოგვისმენია, თვისება
საგნისა, რომელსაც შევხებივართ, სუნი, რომელიც
გვიყნოსაც, გემო სასმელ-საჭმელისა და სხვანის ესეთ
სულის მოქმედებას, ესე იგი, გონებაში გამოხატვას
საგნის სახისას, მდგომარეობისას, მოქმედებისას და

საზოგადოთ ყოველთა მის თვისებათა, ეწოდება წარმოდგენა. როგორც მეხსიერებას, ისრე პმ ნიჭისაც, ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ჰაზროვნების მუშაობისათვის, რადგანაც ფიქრი და სჯა ჩვენ მხოლოდ იმ საგნებზე შეგვიძლია, რომლებსაც გონებაში გირდგენთ ხოლავ.

§ 6. ცნება.

თვითეული ჩვენი წარმოდგენა უდრის მხოლოდ ერთს რომელიმე საგანს და შაიცავს ყველა მის თვისებებს. ყმაწევილი ჰქედავს პირველად, მაგალითად, დედას, მამას, ძმას, დას და უჩნდება წარმოდგენა ცალკე დუღაზე, მამაზე, დაზე და სხვა, მაგრამ ჯერ-ჯერობით არა აქვს წარმოდგენა საზოგადოთ აღამიანზე. მისი წარმოდგენა სკამზე, მაგიდაზე, ძალლზე, კატაზე და სხვანი ეკუთვნიან იმ სკამს, მაგიდას, ძალლსა და კატას, რომლებსაც იგი თავის ოთახში ჰქედავს. საზოგადოთ-კი არ იცის პირველად მან ის, თუ რა არის მაგიდა, სკამი, ძალლი, კატა. ერთი სიტყვით, პლამიანს იმდენივე ცალკე წარმოდგენა აქვს, რავდენი საგანიც გაუცვნია სიცოცხლეში. მაგრამ ის წარმოდგენები გაცალკევებული როდი ჰრჩებიან მის გონებაში.

როგორც-კი გაუჩნდება აღამიანს რავდენიმე წარმოდგენა გონებაში ერთ-გვარ საგნებზე, ჰაზროვ-

ნება მისი მაშინვე იწყებს იმათ შედარებას ერთმანერთთან. შედარების დროს ჰპოულობს მათ შორის, როგორც თვით საგნებში, მზგავსებას და განსხვავებასაც. როცა გონება ჩეენი აღარებს, მაგალითად, წარმოდგენებს სხვა-და-სხვა ხეზე, ჰპოულობს მათ შორის შემდეგ საერთო ნიშნეულობას, რომელიც თვითეულ ხეს ეკუთვნის: ჭირი, ტანი და ტოტები. მაგრამ ამათ გარდა ჰპოულობს ისეთ თეისებებს, რომლებითაც ხეები განსხვავდებიან ერთმანერთისაგან, ზოგი ხე, მაგალითად, ხილს ისხამს, ზოგი არა, ზოგი დიდი და მაღალი იზრდება, ზოგი არა, ზოგი მაგარია, ზოგი რბილი, ზოგი ფოთლებიანია, ზოგიც უფოთლო, ზოგი დიდ ხანს ცოცხლობს, ზოგი ცოტა ხანს და სხვ. საგნების იმ ნიშნეულობებს, რომლებიც შეადგენენ ხოლმე იმათ არსს, ესე იგი, ისეთ ნიშნეულობას, ურომლოთაც არც ერთს მათგანს არსებობა არ შაუძლიათ და ვერც წარმოვიდგენთ გონებაში, უწოდებენ არსებითი ნიშნეულობას. ხოლო, პირ-იქით, იმ ნიშნეულობას, ურომლოთაც შეუძლიათ მათ არსებობა, უწოდებენ არა არსებითი ნიშნებულობას. ხის არსებითი ნიშნეულობას, მაგალითად, შეადგენენ: ძირი, ტანი და ტოტები; ყველა სხვა ნიშნეულობა-კი შეადგენს არა არსებითი თეისებას. აღამიანის არსებითი თეისებას შეადგენენ შემდეგი ნიშნეულებანი: იგია არსება სულიერ--ხორციელი, აქეს გონება, გრძნობა, ნება და მეტყველება. ყველა

სხვა ნიშნეულობა, როგორც, მაგალითად, მოსრულობა, სილამაზე, სქესობა, კანის ფერი და სხვ. შეარდენენ არა არსებითი თვისებას, რადგანაც შეიძლება, ეკუთნოდნენ იგინი აღამიანს და შეიძლება არა.

ამგვარად, როცა ჰაზროვნება ჩვენი ადარებს ერთ-მანერთს წარმოდგენებს ერთი გვარი საგნების შესახებ, ჰპოვულობს მათ შორის საერთო არსებითი ნიშნეულობებს, აერთებს ერთად და არდენს ერთ საზოგადო წარმოდგენას ანუ ჰაზრს, რომელიც შეიცავს ყველა შედარებული ერთი გვარი საგნების არსებითი ნიშნეულობას. ამგვარ საზოგადო წარმოდგენას ანუ ჰაზრს ყველა ერთის გვარის საგნების არსებითი ნიშნეულობებზე ეწოდება ცნება, რადგანაც იმათი წარმოდგენით ჩვენ ვსცნობთ ერთგვარი საგნების რაობას ანუ ვინაობას.

მაშასადამე, ცნება არს ისეთი საზოგადო წარმოდგენა ანუ ჭარტი, რომელიც შეიცავს ერთი სასისა და ერთის გვარის საგნების ყველა არსებითი ნიშნეულობას. ასრეა შერდგენილი ყოველი ცნება, როგორც, მაგალითად, აღამიანი, პირუტყვი, მცენარე, მდინარე, ქალაქი, სადგომი, ტყე, ველი და სხვანი.

ყველა იმ ნიშნეულებას, რომელსაც ჩვენ არა არსებითი ნიშნეულობა უწოდეთ, გონება, ცნების შერდგენის დროს, უყურადღებოდ აგდებს ხოლმე, რადგანაც ცნებისათვის იგინი საჭირო არ არიან. წარმოდგენისაგან ცნება მითი განირჩევა, რომ წარმოდ-

გენა უდრის მხოლოდ ერთს ორმელიმე საგანს და შაიცავს ყველა მის ნიშნეულობას, როგორც არსებითისას, ისე არა არსებითისას, ცნება-კი იპყრობს მხოლოდ არსებითი ნიშნეულობას და არა ერთი საგნისას, არამედ ყველა ერთის გვარის საგნებისას. მაგალითად, ჩეენი წარმოდგენა სურამის ციხეზე შაიცავს ყველა მის ნიშნეულობას და მთოლოდ მას უდრის. ცნება „ციხე“-კი უდრის ყველა ციხეს, რომელიც-კი საღმე არსებობს და შაიცავს ყოველი ციხის არსებითი ნიშნეულობას. ჩეენი წარმოდგენა მტკვარზე უდრის მარტო ამ ერთს მდინარეს, ხოლო ცნება „მდინარე“ უდრის ყოველს მდინარეს და იპყრობს ყოველი მდინარის არსებითი ნიშნეულობას.

ამასთანავე საჭიროა ვიცოდეთ, რა განსხვავება არის ცნებასა და მის სახელს შუა. ცნება არის წარმოდგენა ანუ ჰაზრი ერთ-გვარი საგნების არსებითი ნიშნეულობათა, ხოლო სახელი ანუ წოდება არის სიტყვა, რომლითაც ჩეენ მას აღვნიშნავთ ხოლმე.

ცნებებს ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვსთ ადამიანის გონების გახსნისა და განვითარებისათვის: მის ნაცვლად, რომ თვითეული საგანი ცალკე წარმოგვედგინა, ყველასათვის საკუთარი სახელი გვეწოდა და ისრე გვეფიქრა მათზე, რაც ძრიელ ძნელი იქმნებოდა, ჩეენ ცნებებისა და მათი საერთო სახელების შემწეობით, ერთად ვირდგენთ ყველა ერთ გვარ საგნებს, ერთ სახოგადო სახელს ვარქმევთ

და ისრე ვფიქრობთ და ვსჯით ხოლმე. მაგალითად, როცა ჩეენ ვფიქრობთ და ვსაუბრობთ აღამიანზე, ცხოველზე, მცენარეზე, მთაზე, მდინარეზე და სხვა არც ერთი აღამიანი განსაკუთრებით, არც ერთი ცხოველი, არც ერთი მცენარე, არც ერთი მთა და არც ერთი მდინარე არა გვაქს ხოლმე სახეში, არამედ მხოლოდ მათი საერთო არსებითნი ნიშნეულობანი.

§ 7. სიგრცე და შინაარსი ცნებათა. მათი განსხვავება და დაყოფა.

რადგანაც ცნება არს ჰაზრი, რომელიც შეიცავს რომელიმე ერთის გვარის, ანუ ერთის სახის საგანთა არსებითი ნიშნეულებას, ამიტომ ცხადია თვითეულს ცნებაში უნდა ვიგულისხმოთ, ერთის მხრით, რიცხვი არსებითი ნიშნეულებათა, რომელთაც შეიცავს ცნება; მეორეს მხრით, -რიცხვი თვით საგანთა, რომელთაც იგინი ეკუთვნიან. ყველა ერთ გვარი საგნები, რომლებიც იგულისხმებიან ერთს ცნებაში, შეარდგნენ მის სივრცეს, ხოლო იმ საგნების საზოგადო არსებითი ნიშნეულებანი — მის შინა-არსს. ავიღოთ, მაგალითად, ცნება „აღამიანი“. ამ ცნების სივრცეს შეარდგენენ ყველა აღამიანები, ხოლო ყველა ის არსებითი ნიშნეულობანი, რომლებითაც აღამიანი განირჩევა სხვა არსებათაგან, შეარდგენენ მის შინა-არს. ყოველი ხე, რომელიც-კი არსებობს ქვეყანზე,

შეარდგენს იმ ცნების სივრცეს, რომელსაც ჩვენ ხეს უწოდებთ, ხოლო ყველა არსებითი ნიშნეულობა ხისა (ძირი, ტანი და ტოტები) შეარდგენს მის შინა-არსს.

ცნებები განირჩენიან ერთი-ერთმანერთისაგან, როგორც სივრცით, ისრე შინაარსით. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია დავყოთ იგინი სივრცისა და შინაარსის მხრით.

ზოგი ცნება იპყრობს უფრო მომეტებულ რიც-ხეს საგნებისას, ზოგიც უფრო ნაკლებს, ამიტო შეიძლება ცნება სივრცით იყოს უფრო ვრცელი, ან უფრო უიშრო, დიდი და პატარაც მაგალითად: ცნება „აღამიანი“ სივრცით უფრო დიდია, ვიდრე ცნება „მამა-კაცი“, რაღანაც პირველი ცნება იპყრობს თვის სივრცეში წარმოდგენას ყოველ აღამიანზე, როგორც მამა-კაცზე, ისე დედა-კაცზე; ხოლო მეორე ცნება შეიცავს წარმოდგენას მარტო მამა-კაცზე. ამგვარადვე ცნება „მცენარე“ უფრო დიდია სივრცით, ვიდრე ცნება „ხე“; „ხე“ უფრო ვრცელია, ვიდრე ცნება „მუხა“ და სხვ.

იმ ცნებებს, რომლებიც უფრო ვრცელნი არიან, ეძახიან უმაღლესს ცნებებს, ანუ გვარეულ ცნებებს. ხოლო რომლებიც სივრცით უფრო მცირენი არიან, ეწოდებათ უმდაბლესნი ანუ სახის ცნებები. მაგალითად, ცნება „პირუტყვი“ არს უმაღლესი ანუ გვარეული ცნება, ხოლო ცნება „ოთხფეხი ცხოველი“

მასთან შედარებით, არს უმდაბლესი ანუ სახის ცნება; ცნება „მცენარე“ არს უმაღლესი ცნება, ხოლო ცნება „ბალახი“ მასთან შედარებით, უდაბლესი ცნება და სხვ.

უმაღლესი ანუ გვარეული ცნებები იპყრობენ თვის სიერცეში უმდაბლესი ცნებების სიერცეს, რადგანაც უკანასკნელი მათ ექვემდებარებიან. მაგალითად, ცნება „ფრინველი“ იპყრობს თვის სიერცეში შემდეგი ცნებების სიერცეს: „ტრედი, გვრიტი, ქორი, ყვავი, ყორანი, ჩიტი, ქათამი“ და სხვანი. ამ გვარად, ცნებები, შედარებულნი სიერცის მხრით, შეძლება იყვნენ: უმაღლესნი და უმდაბლესნი, ანუ გვარისანი და სახისანი.

ცნებები, როგორც სიერცით, ისრე შინაარსით განსხვავდებიან ერთმანერთისაგან, რადგანაც შინა-არსიც ზოგს ცნებას უფრო რთული აქვს, ზოგსაც უფრო მარტივი, ესე იგი, სავნის ნიშნეულებანი, ზოგს ცნებაში უფრო ბევრი მოიპოვებიან, ზოგიერთში-კი უფრო მცირე. ავიღოთ, მაგალითად, ორი ცნება „ნეგრი“ და „ადამიანი“. შინაარსით ჰირველი ცნება უფრო რთულია, ვიღრე მეორე, ამიტომ რომ ჰირველ ცნების შინა-არსში, ადამიანის საზოგადო ნიშნეულობათა გარდა, მრავალი სხვა ნიშნეულობაა, რომლითაც ნეგრები განირჩევიან სხვა აღამიანებისა-გან, როგორც, მაგალითად, სიშავე ტანის კანისა, აგებულობა ჰირის სახისა, მაგარი და ხუჭუჭი შავი

თმა და სხვ. ესეთი ცნებები, როგორიც არიან: „შა-
ვი, თეთრი, სილამზე, გემო, გემრიელი“ და სხვ.
მხოლოდ თითო ნიშნეულობას აპყრობენ თქის შინა-
არსში, ამიტომაც ისინი მარტივნი არიან ხოლმე.

ამგვარად, შინაარსით ცნება შეიძლება იყოს მაჟტი-
ვი და რთული. რთული ცნება ისეთ ცნებას ჰქვიან;
რომელშიც იგულისხმება ორი ანუ მრავალი არსებითი
ნიშნეულობა. მაგალითად: ფრინველი, სახლი, თევზი,
მცენარე და სხვა. მარტივი ცნება არის ისეთი ცნება,
რომელიც იპყრობს მხოლოდ ერთს არსებითი ნიშ-
ნეულობას. მაგ. მამაკობა, ცოდნა, გემო, სიმწარე,
სიკეთე და სხვანი.

ეხლა ჩენ რომ ცნებები სივრცითა და შინა-არ-
სით შეეადაროთ ერთად ერთმანერთს, დავინახვათ,
რომ იმ ცნებას, რომელსაც უფრო დიდი სივრცე
აქვს, უფრო პატარა შინაარსი ექმნება, და პირ-იქით,
რომელსაც უფრო რთული შინაარსი აქვს, იმას უფ-
რო მცირე სივრცე ექმნება. აეილოთ, მაგალითად;
ზემოთ მოყვანილი ორი ცნება „ადამიანი“ და „ნეგ-
რი“ და შეეადაროთ ერთმანერთს სივრცითა და
შინა-არსით. სივრცით ცნება „ადამიანი“ ბევრად უფ-
რო დიდია, ვიდრე ცნება „ნეგრი“ რაღვანაც პირვე-
ლი ცნების სივრცეში იგულისხება ყოველი ადამია-
ნი, ხოლო მეორეს სივრცეში-მარტო ის ადამიანები,
რომლებსაც ნეგრებს ეძახიან. პირ-იქით, შინა-არსით
ცნება „ნეგრი“ უფრო რთულია, ვიდრე ცნება „ადა-

მიანი“, რადგანაც, როგორც ზემოთ იყო ნათქომი,
ცნება „ნეგრი“ იმ ნიშნეულობთა გარდა, რომლებიც
ყოველ აღამიანს ეკუთვნიან, იპყრობს თეის შინა-არს-
ში მრავალ სხვა საკუთარ ნიშნეულობსაც. ყველა
ცნებაზე უფრო დიდი ცნება რომ აეიღოთ, როგორც
მაგ. „არსება“, დაეინახავთ, რომ სიერცით იგი ყო-
ველ ცნებაზე უვრცელესი იქნება, რადგანაც ამ ცნე-
ბის სიერცე შაიცავს ყოველ არსებას, მაგრამ ამვე
დროს შინა-არსით ეს ცნება ძლიერ მარტივია, რად-
განაც მის შინა-არსს შეარდგენს ერთად-ერთი წიშნე-
ულობა, ესე იგი, „არსებობა“.

გარდა ამისა, ზოგიერთი ცნებები სრულიად უდ-
რიან ერთმანერთს სიერცითა და შინა-არსითაც აი-
ესეთი ცნებები: „კაცობრიობა“ და „აღამიანები“. ეს
ორი ცნება სრულიად თან-ტოლი ცნებები არიან, ამ-
გვარ თან-ტოლ ცნებებს ეძახიან იგივეობითი ცნე-
ბებს. იგივეობითი ანუ თან-ტოლი ცნებები ერთი და
იგივე ცნებები არიან, მხოლოდ ორი სახელი ჰქვიათ,
მაგ. „მკვდარი“ და „გადაცვალებული“.

ამ გვარ ცნებათაგან განიჩევიან ისეთი ცნებები,
რომელთა შორის არასფერი საერთო არ არის და
სრულიად განსხვავდებიან ერთმანერთისაგან, რო-
გორც მაგ. ცნებები: „სული“ და „ხორცი“; „სიმ-
დიდრე“ და „სილარიბე“; „თეთრი“ და „შავი“ და სხვ.
ესეთი განსხვავება ცნებათა შორის ხშირად უარ-ყო-
ფითი ნიშანითაც გამოიხატება ხოლმე. მაგალითად,

„სწავლული“ და „უსწავლელი“, ანუ „არა სწავლული“; „კეთილი“ და „არა კეთილი“, ანუ „უკეთური“ და სხვ.

ბოლოს ისეთი ცნებებიც არიან, რომლებიც გვანან ერთმანერთს მხოლოდ ზოგიერთი ნიშნეულობით. ამგვარ ცნებებს ეწოდებათ მზგავსი ცნებები. მაგალითად: „ხე“ და „მუხა“ (მუხაც ხეა), „აღა-მიანი“ და „ქალი“, „სასმელი“ და წყალი და სხვ.

§ 8. ქათეგორიები.

ჩვენი გონება, როგორც წარმოდგენებიდგან არღვენს, შედარებისა და შერთების საშუალებით, ცნებებს, ისე შაუძლია, იმავე საშუალებით, შეარდგინოს უმდაბლესი ცნებებიდგან უმაღლესი ცნებები. ცნებების შედარების დროს გონება ჩვენი ყველა ნიშნეულობას, რომლითაც-კი შესადარებელი ცნებები ერთმანერთისაგან განსხვავდებიან, უყურადღებოდ სტოკებს ხოლმე და მხოლოდ იმ არსებითი ნიშნეულებას აქ-ცევს ყურადღებას, რომელიც მზგავსებას შეარდგენს. ავილოთ რავდენიმე მაგალითი. აი რავდენიმე ერთგვარი ცნებები: ცხენი, ხარი, ძროხა, ცხვარი, კამბეჩი, ირემი, თხა, შველი და სხვ, ამ ცნებების შედარებით გონებას შაუდგენია უმაღლესი ცნება, რომელსაც უწოდებთ „ოთხ ფეხ ცხოველს“. მეორე მაგალითი: იხვი, ქათაბი, ბატი, ინდაური, ქო-

რი, ძერა, ტრედი, გვრიტი, მერცხალი. და სხვ. როცა ამ ცნებებს აღარებს, გონება და მათ არსებითი თვისებას აერთებს, არღვენს ხოლმე უმაღლესს ცნებას, რომელსაც ეწოდება „ფრინველი“. მესამე მაგალითი: პური, ხორცი, ლობიო; მჭადი, ლომი, ფხალი და სხვ. ყველა ამ ცნებებისა და მათი მზგავსი სცნებების შედარებით გონება არღვენს უმაღლეს ცნებას, რომელსაც ჰქვიან „საზრდო“. ამგვარ მოქმედებას გონებისას ეწოდება „გაერთება“ ანუ გაზოგადოება, რაღვანაც ამგვარი მოქმედებით მრავალი ცნებები ერთდებიან და გარდიქცევიან ერთ საზოგადო უმაღლეს ცნებად. აღამიანის გონებას შაუქლიან ამგვარი მოქმედება იქნამდის აღწიოს, სანამ მიაღწევს ისეთ უმაღლეს ცნებებთან, რომლებიც შეიცავენ ყველა ცნებებს და რომელთ იქით ასელა ძნელია ანუ, უკეთა ესთქვათ, აღარ შაიძლება: აი ესეთ უუმაღლესს ცნებებს უწოდებენ „ქათეგორიებად. ქათეგორიებად სთვლიან, მაგ. შემდეგ ცნებებს: „არსებობა“, „თვისება“, „ურთიერთობა“ და სხვ.

§ 9. სჯა.

როცა ჩვენი გონება აღარებს ერთმანერთს ორს, ანუ რავდენიმე ცნებას, მაშინ ჰქოვებს მათ შორის ურთიერთობას; განსაზღვრავს ხოლმე ანუ გამოიხატავს ამ ურთიერთობას და ამგვარად არღვენს სჯას. მაგა-

ლითად, აეილოთ ორი ცნება: „ტრედი“ და „ფრინ-ველი“. როცა გონება ამ ორ ცნებას ადარებს ერთ-მანეროს, ჰელიუს, რომ მათ შორის ისეთი კავშირი ანუ ურთი-ერთობა არსებობს, რომ ცნება „ფრინველი“ შეიძლება მივაწეროთ ცნებას „ტრედს“, რად-განაც ტრედი ფრინველია. ამ ურთი-ერთობას გო-ნება ჩვენი ასრე ჰელიუს: „ტრედი არის ფრინველი“. მაგრამ ხშირად გონება ისეთ ცნებებსაც ადარებს, რო-მელთ შორის არა ეითარი კავშირი არ არის და ამი-ტომაც მათ ურთი-ერთობას სხვა ნაირად ჰელიუს ხოლმე. შევადაროთ, მაგალითად, ორი ცნება „ქვა“ და „ოქრო“. რაღანაც გონება ჩვენი ჰელიუს, რომ ქვა ოქრო არ არის, ამიტომ მათ ურთი-ერთობას ასე ჰელიუს: „ქვა არ არის ოქრო“. ამ მაგალითე-ბიდგან ჩვენა ვხედავთ, რომ პირველ შემთხვევაში გონება მიაწერს ხოლმე ერთს ცნებას მეორეს, რად-განაც ჰელიულობს მათ შორის კავშირს და ამგვა-რად ამტკიცებს მათ ურთი-ერთობას. მეორე შემთხ-ვევაში-კი უარ ჰყოფს კავშირს. მოვიყვანოთ რავდე-ნიმე მაგალითი: წყალი სასმელია, ვარდი ყვავილია, ადამიანი მეტყველი არსებაა, გონება ნიჭია, ცოდნა ძალაა და სხვ. ადამიანი უკვდავი არ არის, წყალი საჭმელი არ არის, ღამურა ფრინველი არ არის, მტრობა სასიქადულო არ არის და სხვ.

გონების ასეთ მოქმედებას ვეძახით ჩვენ სჯავ.

ანუ განსჯას *). მაშასადამე, სჯა არის განსაზღვრა
გთხების მიერ იმ უფთირეოთობისა, რომელიც აფებობს
ტნებათა შორის.

ყოველი სჯა პირველად გონებაში სჩნდება ხო-
ლმე და მისი ფიქრია. მაგრამ შემდეგ შაუძლია ადა-
მიანს გამოსთვეს თავისი სჯა ანუ ჰაზრი სიტყვით,
ანუ წერით. სიტყვებით გამოხატულს ანუ წარმოთქ-
მულ სჯას ეწოდება „წინა-დადება“. ოდგორც სჯაში,
ისრე წინადადებაში უსათუოდ ორი ცნება მაინც უნ-
და იყოს: ერთი ის, ორმელზედაც ვსჯით, მეორე იგი,
რასაც ვსჯით. პირველ ცნებას წინა-დადებაში ჰქვიან
ქვემდებარე, მეორეს-შესმენილი, მაგლითად, ამ წინა-და-
დებაში „შაშვი მგალობელია“ სიტყვა „შაშვი“ არის
ქვემდებარე, სიტყვა „მგალობელია“-შესმენილი.

სიტყვების ნაცვლად სჯის გამოსახატავად ლოლი-
კაში ხშირად ჰქმარობენ ლათინურ ასოებს: ქვემდე-
ბარის ადგილზე დასმენ ხოლმე ასოს S (cubectum),
შესმენილის ნაცვლად ასოს P (praedicatum) და
ამგვარად მთელი სჯა გამოიხატება ასრე S—P, ესე
იგი S-ი არის p. ამასთნავე საჭიროა, ვიცოდეთ, რომ
სჯაში ხმარებული ცნებები შეარდგენენ. მის ნივთი-
ეუბის (მატერიას), ხოლო სახსარი შათი შეერთებისა
იწოდება ფორმულად. აეიღოთ, მაგალითად შემდეგი
სჯა: „შაქარი ტკბილია“. (S—P). ამ სჯაში ცნებე-

*) იხილე ლოლიკა ანტონ ქათალიკოშისა.

ბი „შაქარი“ და „ტკბილია“ შეარდგენენ ამ სჯის
ნივთიერებას, ხოლო თეთი მათი შეერთება (შაქარი
არის ტკბილი.—s—p) არის მისი ფორმულა.

§ 10. სჯათა დაყოფა

1. სჯის დროს ჩვენი გონება, როგორც წემო-
თა ესთქვით, ან მიაწერს ქვემდებარეს შესმენილს და
ან არა, ესე იგი, ან ამტკიცებს იმ ურთი-ერთობას,
რომელიც არსებობს ქვემდებარისა და შესმენილის
შორის და ან უარ-ჰყოფს მას. ამის მიხედვით შეიძ-
ლება იყოს სჯა ორ გვარი: დამტკიცებითი ინუ უარ-
ჰყოფითი: დამტკიცებითი სჯა მაშინ იქნება, რო-
ცა გონება მიაწერს შესმენილს ქვემდებარეს, ან უ-
ამტკიცებს ხოლმე კავშირს. მაგალითად: ღმერთი
მოწყალეა, მზე ანათებს, შოთა პოეტია, კოტე სწერს
და სხეანი. სჯა უარყოფითი მაშინ იქნება, როცა შეს-
მენილი გამოხატავს, რა არ ეკუთვნის ქვემდებარეს;
ანუ როცა გონება უარ-ჰყოფს ქვემდებარისა და შეს-
მენილის შორის კავშირს. მაგალითად: სიტყვა საქ-
მე არ არის, ადამიანი არ არის პირ-უტყვი, სილარი-
ბე ცოდვა არ არის, კერპი ღმერთი არ არის და სხვ.

2. სჯა, როგორც წინადადება, შეიძლება იყოს
მარტივი და ჟოზლი. მარტივი სჯა ისეთი სჯაა, რო-
მელშიაც მხოლოდ ერთი ქვემდებარე და ერთი შეს-

შენილია, ანუ რომელშიც მარტო ერთად ერთი ჰაზარია გამოხატული. მაგალითად: მერცხალი გალობს, მუხა ხეა, ვანო ჰყითხულობს და სხვ. თუმცა სჯაში ან ქვემდებარე, ან შესმენილი ერთზე მეტია, მაშინ სჯა უთუოდ რთული იქმნება, მაგალითად: მზე და მთვარე მნათობნი არიან; მზე გვინათებს და კიდეც გვათბობს; კაცი და ქალი ორივე ადამიანები არიან; ადამიანს სმა და ჭამა უნდა და სხვ.

ვ. სჯის დროს გონიერი ხან ქვემდებარის მთელ სივრცეს მიაწერს ხოლმე შესმენილს და ხანაც მხოლოდ რომელიმე მის ნაწილს მაგალითად: ყოველი კაცი სიკვდილის შეილია. ყველაფერი ღვთის გაჩენილია; არაერთ არ არის სრული ბეღნიერი საქაოს და სხვანი. ყველა ამ სჯაში შესმენილები მიწერილი აქვს ქვემდებარების მთელ სივრცეს. მეორე გვარი მაგალითები: ზოგი ერთი კაცი განათლებულია; ზოგიერთი ცხოველი ოზნე-ფეხია; ზოგიერთი გველი შხამიანია და სხვ. სამივე აქ მოყვანილ განსჯაში შესმენილებს მიუწერთ ხოლმე ქვემდებარების სივრცის ზოგიერთ ნაწილს და არა მთელ სივრცეს და ამიტომაც ვამბობთ: ზოგიერთი კაცი, ზოგიერთი ცხოველი, ზოგიერთი გველი და სხვ. პირველ ნაირი სჯანი იწოდებიან საზოგადო სჯებად, რადგანაც შესმენილი მიეწერება საზოგადოთ ქვემდებარის მთელ სივრცეს, ხოლო მეორე გვარი სჯათა იწოდებიან ქარძო სჯებად. როგორც საზოგადო სჯა, ისე კერძო

შეიძლება იყოს ან დამტკიცებითი და, ან უარყოფითი. მაშასალამე, ამ მხრით თუ გაეშინჯავთ, სჯა ოთხ ნაირი უნდა იყოს: 1.) საზოგადო სჯა დამტკიცებითი 2.) საზოგადო სჯა უარ-უთვითი, 3.) კერძო სჯა დამტკიცებითი და 4.) კერძო სჯა უარ-უთვითი. მაგალითები: 1.) ყაველი კაცი ცოდვილია 2.) არაეინ არ არის უცოდველი. 3.,) ზოგიერთი მოყვარე მტერზე; უარესია 4.) ზოგიერთი კაცი სანდობი არ არის.

4.) განსჯის დროს გონება ზოგჯერ პირ-და პირ მიაწერს ხოლმე შესმენილს ქვემდებარეს, ზოგჯერ პირობით და ზოგჯერაც მრავალ შესმენილთაგან მხოლოდ ერთ რომელიმე მათგანს აკუთნებს ქვემდებარეს. აქედამ წარმოსდგება სამ-გვარი სჯა: 1. ქათეგორიული, 2. პირობითი და 3. განყოფითი.

ა.) როცა გონებას უეჭველი საფუძველი აქვს, რამ შესმენილი მიაწეროს ქვემდებარეს. მაშინ სჯას ეწოდება ქათეგორიული სჯა. მაკალიებზე: მჩე ანათებს; უჟაეროთ არასუერის სიცოცხლე არ შეუძლია; აღამად-ხანმა დაქცია თვითისი 1795 წელში და სხვ.

ბ.) როცა ჩვენ უეჭველი საფუძველი არ გვაქვს, რამ შესმენილი მივაწეროთ ქვემდებარეს პირ-და-პირ ანუ ქათეგორიულად, არამედ მხოლოდ პირობით, მაშინ სჯა იქმნება პირობითი. მაგ. თუ კაცი კაცად არ ვარგა, ცუდია გვარი-შეილობა, თუმცა მთვარე მზეს მოეფარა, მაშინ მჩე დაბნელდება. თუმც ცოცხალ არსებას სუნთქვა მოუსპე, მალე მოკვდება და სხვ.

8.) როცა არ ვიცით ნამდვილიად, ორი ანუ მრავალი შესმენილისაგან რომელი უნდა მივაწეროთ ქვემდებარეს, ანუ კიდე მრავალი ქვემდებარე თუა, რომელს მივაწეროთ ერთი რომელიმე შესმენილი, მაშინ გონება ასე გაჩსჯის, რომ ერთ-ერთი შესმენილი ეკუთვნის ქვემდებარეს, ანუ მრავალ ქვემდებარეთაგან მხოლოდ ერთს ეკუთვნის ცნობილი შესმენილი, მაგალითად: ეს კაცი ან კეთილია, ან ბოროტი; ეს ბრალდებული ან მართალია ან მტყუანი. საუკეთესო დრო წლისა არის ან გაზაფხული, ან ზაფხული, ან შემოდგომა და ან ზამთარი. ამგვარ სჯებს უწოდებენ განუოფითი სჯებად.

5.) როცა გონება ჰსაზღვრავს ქვემდებარეთად შესმენილთა შორის ურთი-ერთობას, მაშინ იგი სცნობს. რომ შეერთება მათი ზოგჯერ სათუოდ უნდა ჩაითვალოს, ზოგჯერ სინამდვილედ და ზოგჯერ - კი უსათუოდ. ამიტომ, იმის მიხედვით, თუ რომელი სინამდვილის ხარისხისა შეერთება შესმენილისა ქვემდებარესთან, სჯა შეიძლება იყოს: სათუო, ნამდვილი და უსათუო.

სათუო სჯა ისეთი სჯაა, რომელშიაც შესმენილის შეერთება ქვემდებარესთან სათუოდ ანუ მხოლოდ შესაძლებელად მიგვაჩნია, მაგალითად. წელს, იქნება, კარგი მოსავალი იქმნეს. ქართული ანბანი, იქნება, ფარნაოზმა შეაღვინა. იქმნება ლმერთმა შეგვიბრალოს და სხვ.

ნამდვილი სჯა ისეთი სჯაა, რომელშიაც ურთიერთობა ქვემდებარება და შესმენილს შორის გონებას სათუოდ არ მიაჩნია, არამედ სინამდვილედ. მაგალითად: ცუდნა სასარგებლოა, დეზამიწა ტრიალებს, მზე ანათებს, ქარი ჰაერის მოძრაობა და სხვ.

უსათუო სჯა მაშინ არის, როცა ურთიერთობა შორის ქვემდებარისა და შესმენილისა ისეთი ცხადია, რომ ყოვლად შეუძლებელია არ მივაწეროთ შესმენილი ქვემდებარეს. მაგალითად: ზემოთ ნასროლი ქვა უსათუოდ ძირს ჩამოვარდება, უსაზროვოდ არასფერს სიცოცხლე არ შეუძლია. სითფოსაგან ყოველი საგანი გაიწევს და სხვ.

§ 11 დასკვნა.

წარმოდგენების შედარებით, როგორც ვიცია, გონება არღენტინის ცნებებს; ცნებების შედარებით და მათი ურთიერთობის განსაზღვრით არღენტინის სჯებს. მაგრამ სჯაში არა ჰასჩანის ხოლმე ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია ჰაზრის ჭრიშმარიტება, უამისად-კი სჯას არა აქვს ზიზი ფასი. ჯმიტომაც გონების მოქმედება (ჰაზროვნება) არა სჩერზება ხოლმე სჯაზე, არამედ განაგრძობს სჯათა შედარებას. შედარების დროს ჰასჩანულობს მათ შორის კავშირს ანუ დამოვიდებულობას, აბამს ერთმანერთზე მათ და ამგვარად გამოყავს დანასკვნი. აქედამ გონების ესეთ მოქმედე-

ბას ეწოდება დასკვენა. მოვიყუჩანთ რაოდენიმე მა-

გალითი.

1. ყოველს ადამიანს, შეუძლია შეცდეს.

2. მეცნიერები ადამიანები არიან.

3. მაშასადამე, შესაძლოა მეცნიერებიც შეცდნენ.

1. ყოველი პლანეტი მოძრაობს.

2. დედა-მიწაც პლანეტია.

3. მაშასადამე, დედა-მიწაც მოძრაობს.

1. ყოველს სხეულშია სითფო.

2. ყინულიც სხეულია.

3. მაშა-სალამე, — ყინულშიაც არის სითფო.

ამგვარად, დასკვენა არის ისეთი მოქმედება გონე-

ბისა, რომელშიაც ჭეშმარიტება ერთი სჯისა გამოყვანი-

ლია მეორე სჯის ჭეშმარიტებისაგან, მესამე სჯის საშ-

ვალებით. ზემოთ მოყვანილ პირველს დასკვენაში, მა-

გალითად, უკანასკნელი სჯის ანუ დანასკვენის ჭეშმა-

რიტება, რომ მეცნიერებსაც შეუძლიათ შეცდნენ;

გამოყვანილია იმ საზოგადო სჯის ჭეშმარიტებისაგან,

რომ ყოველ ადამიანს შაუძლია შეცდეს, მაგრამ პირ-

ლა-პირ-კი არა, არამედ მესამე სჯის საშვალებით ანუ

შედარებით, სახელდობ, იმ სჯის საშუალებით, რომ

მეცნიერებიც ადამიანები არიან.

ლათინური ასოებით დასკვნა ამგვარად გამოიხა-
ტება ხოლმე:

1. M არის P.

2. S — M.

მაშასადამე: 3. S — P.

როგორც სჯაში უსათუოდ ორი ცნება მაინც უნ-
და იყოს, ისრე დასკვნაში უსათუოდ სამი სხვა-და-სხვა
ცნება ანუ ტერმინია (სიტყვა) საჭირო, რადგანაც უმი-
სოთ დანასკვენის გამოყვანა შეუძლებელია. ზემოთ
მოყვანილ პირველ დასკვნაშიც სამი ცნებაა, მაგალი-
თად: ადამიანი (M), მეცნიერები (S) და შეცდომა
(P). ამ სამი ცნების შედარებით ანუ დაკავშირებით
შერჩევნილია სამი სჯა:

1. ყოველს ადამიანს შეუძლია შეცდეს.

2. მეცნიერები ადამიანები არიან.

3. მაშასადამე, მეცნიერებსაც შეუძლიათ შეცდნენ.

დასკვნაში თეოთეულ ცნებას თვისი საკუთარი
სახელი ჰქვიან: იმ ცნებას, რომელსაც დანასკვენ-
ში ანუ მესამე სჯაში შესმენილის ადგილი უჭირავს,
ეწოდება დიდი ტერმინი; იმ ცნებას, რომელიც და-
ნასკვენში ქვემდებარედ არის, ჰქვიან ჰატარა ტერმინი.
ხოლო იმ ცნებას, რომელითაც დიდი და პატარა
ტერმინები არიან შედარებული ერთმანერთთან, უწო-
დებენ საშუალო ტერმინს. მოყვანილ დასკვნაში, მა-
გალითად, დიდი ტერმინი არის ცნება „შეცდომა“
(P), პატარა ცნება „მეცნიერები“ (S), ხოლო ცნება

ადამიანები» (M) არის საშუალო ტერმინი.

ამას გარდა, როგორც ზემოთ მოხსენებული დასკვნილან სჩანს, ყოველ დასკვნაში ორი პირველი სჯა წინ უძლებან მესამე სჯას, ამიტომაც დასკვნის პირველ ორი სჯას უწოდებენ წინ-მძღვანელ სჯებად, ხოლო მესამეს, რომელიც მათგან გამოყავთ, ჰქვიან დანასკვენი. ამგვარად ყოველი დასკვნა შესდგება ხოლმე წინა მძღვალ სჯათაგან და დანასკვენისაგან. დასკვნის იმ წინა-მძღვალ სჯას, რომელშიაც მოქცეულია დანასკვენის შესმენილი (P), ეწოდება დიდი წინა-მძღვალი სჯა, ხოლო მეორე სჯას, რომელიც იპყრობს დანასკვენის ქვემდებარეს (S), ჰქვიან ჰატარა წინმძღვალი სჯა. მაგალითად, მოყვანილ დასკვნაში, დიდი წინ-მძღვალი სჯა არის «ყოველს ადამიანს შეუძლია შეცდეს», პატარა წინ-მძღვალი სჯა არის «მეცნიერებიც ადამიანები არიან».

როგორც ყოველს სჯას აქვს ნივთიერება და ფორმა, ისე დასკვნას აქვს. დასკვნის ნივთიერებას შეარდგენენ ის სჯები, რომლებილვანაც იგი შესდგება, ხოლო მის ფორმად ითვლება ის სახე, რომლითაც შეერთებული ანუ დაკავშირებული არიან ერთმანერთ-თან წინ-მძღვალნი სჯანი და დანასკვენი.

§ 12. დასკვნათა დაყოფა.

დასკვნის შერდგენის დროს ჰაზროვნება ჩვენი

მოქმედობს ორ გვარად: ან საზოგადო დარღვენილგან გარდადის კერძო დარღვენაზე, ან კიდე პირიქით კერძო მაგალითებილგან საზოგადო დარღვენაზე, ესე ჩვი: ან საერთო ჰაზრის ჭეშმარიტებილგან გამოყავს ხოლმე კერძო ჰაზრის ჭეშმარიტება, ანუ კერძო ჰაზრების ჭეშმარიტებილგან — საერთო ჰაზრის ჭეშმარიტება: მაგალითები: 1. ყოველი სხეული იპყრობს ცითბოს (საზოგადო დარღვენა). ყინული არის სხეული; მაშასალამე, ყინულშიაც უნდა იყოს სითბო. (კერძო დასკვნა) 2. ესთქვათ, შენიშნეს ერთჯელ, ორჯელ, სამჯელ და მრავალჯერ, რომ მთვარის გადაბრუნების დროს იცვლება ამიდი (კერძო მაგალითები). აქედამ ესეთი საზოგადო დანასკვენი გამოუყვანიათ: „მთვარის გადაბრუნების დროს ყოველთვის ამიდი იცვლება“. პირველ მოხსენებულ გზას ანუ ხერხს დასკვნის შერღვენისას ეწოდება დედუქცია, მეორეს — ინდუქცია. ამგვარად, იმის მიხედვით, თუ როგორ არის შერღვენილი დასკვნა, იგი შეიძლება იყოს ან დედუქციური და ან ინდუქციური:

§ 13 დედუქციური დასკვნები.

დედუქციური დასკვნა ანუ სილოგიზმო შეიძლება იყოს შერღვენილი ან ქათეგორიული, ან პირობითნი და ან კიდევ განყოფითი სჯათაგან. ამ საფუძვლის მიხედვით შეიძლება დედუქციური დასკვნები

სამ გვარი იყვნენ: 1. ქათეგორიულნი, 2. პირობითნი და 3. განერაფითნი.

1) ქათეგორიული დასკვნა ჰქვიან ისეთ დასკვნას, რომელიც შერდგენილია ქათეგორიულ სჯათაგან. მაგალითად:

1. ყოველი რთული სხეული განაწილდების, წყალი რთული სხეულია.

მაშასადამე, წყალის დანაწილებაც შეიძლება.

2. არც ერთს პლანეტს არ აქვს საკუთარი სინათლე; მთვარე პლანეტი არის. მაშასადამე, არც მთვარეს აქვს საკუთარი სინათლე.

2) პირობითი დასკვნა ისეთი დასკვნაა, რომელშიაც პირველ სჯას პირობითი სჯა შეარდგენს, მაგალითად:

თუმცი ელვავს, უთუოდ ჭუბილიც იქნება; ელვა სჩანს.

მაშასადამე, ჭუბილიც უნდა იყოს.

როცა პირობითი დასკვნაში რასმეს ვამტკიცებთ, ანუ უარს ვყოვთ, უნდა ხელვმძღვანელობდეთ შემდეგი კანონით: პირობითი დასკვნაში თუმცი მეორე სჯაში (მცირე წინა-მძღოლელ სჯაში) მივიღეთ, საფუძველი, მაშინ დანასკვნენში უთუოდ უნდა მივიღოთ მისი შეღეგი. პირ-იქით: თუმცი მეორე სჯაში უარ-ვყავით შეღეგი.

დეგი, მაშინ დანასკვენშიაც უთუოდ უნდა უარ-ვყოთ
საფუძველი, მაგალითები:

1) უკეთუ მთვარე მზეს ჩამოეფარა, მაშინ
მოხდება მზის დაბნელება; ამა და ამ
დროს (ვსტკვათ), მთვარე ჩამოეფარება
მზეს, მაშასადამე, მაშინ უთუოდ მზე
დაბნელდება.

2) თუმც მთვარე მზეს ჩამოეფარა, მზე
დაბნელდება; წელს (ვსტკვით) არ მოხ-
დება მზის დაბნელება. მაშასადამე, წელს
მთვარე არ ჩამოეფარება. მზეს.

3) ვანყოფითი დასკვნა არის ისეთი დას-
კვნა, რომელშიაც პირველი სჭა ვანყო-
ფითი სჯა არის. მაგალითად:
ესა და ეს ბრალდებული ან მართალია, ან
დანაშაური; იგი, ვსტკვათ, მართალია.
მაშასადამე, ის არ ყოფილა დანაშაური.

ვანყოფითი სჯაში, როგორც იყო ზემოთ მოხ-
სენებული, ქვემდებარეს მიუწერთ მრავალთაგან მხო-
ლოდ ერთს შესმენილს. ამ საფუძვლის ძალით, ვან-
ყოფითი დასკვნაში, როცა მეორე წინამძღვალ სჯაში
ერთს რომელიმე შესმენილს ანუ წევრს მივიღებთ,
მაშინ დანასკვენში უნდა უარ-ვყოთ სხვა ყველანი.
ან კიდევ, თუმც მეორე სჯაში უარ-ვყავით ყველა
ერთის მეტი, მაშინ დანასკვენში უნდა მივიყოთ ის
ერთი წევრი. მაგალითები:

- 1) საუკეთესო დრო სიცოცხლისა არის
ანუ სიყმაწვილე, ანუ სიჭაბუკე, ანუ
სივაჟუკაცე და ანუ მოხუცებულობა.
საუკეთესო დრო სიცოცხლისა (ესთქ-
ვათ) არის დრო ჭაბუკობისა:
მაშასადამე, სიცოცხლის საუკეთესო
დროდ არ შეიძლება მიეიღოთ არც
სიყმაწვილე, არც სივაჟ-კაცე და არც
მოხუცებულობა.
- 2) საუკეთესო დრო სიცოცხლისა არს
ანუ სიყმაწვილე, ანუ ჭაბუკე, ანუ
სივაჟ-კაცე და ანუ სიბერე.

საუკეთესო დროდ სიცოცხლისა არ შეიძლება
ჩავსთგალოთ (ესთქვათ) არც სიყმაწვილე, არც სი-
ვაჟკაცე და არც მოხუცებულობა მაშასადამე: საუ-
კეთესო დრო სიცოცხლისა არის დრო ჭაბუკებისა.
ხანდისხან შეიძლება ცრითსა და იმავე დასკვ-
ნაში პირველი სჯა იყოს შემუგარი პირობითი და
განყოფითი სჯათაგან ერთად. ამგვარ დასკვნას ეწო-
დება პირობითი-განყოფითი დასკვნა, მაგალითად:

თუკი უწერია აზამიანს ოდესმე სრული ბეღნი-
ერება, უნდა ელიჩსოს ან სააქიოს და ანუ საიქიოს;

მაგრამ სააქიოს არავის არ ღირსებია სრული
ბეღნიერება.

მაშა-სადამე, სრულს ბეღნიერებას უნდა მოე-
ლოდეს ადამიანი საიქიოს.

როცა ამგვარ დასკვნაში მხოლოდ ორი, შესმენილი ანუ წევრია, მაშინ მას უწოდებენ დილექტა, როცა სამი, — ტრილექტა, ხოლო როცა მეტი, მაშინ ჰოლილექტა.

§ 14 შემოკლებული დასკვნები.

ჩვენ ზემოთა ვსთქვით, რომ დასკვნის შესარდგენათ სამი სჯა არის საჭირო თქო, მაგრამ გონება ჩვენი, ჩვეულების ძალით, წერისა და ლაპარაკის დროს ხშირად ამოკლებს დასკვნებს, ესე იგი, ხან პირველ სჯას ანებებს თავს, ხარაც მეორეს და დანასკვენი ისრე გამოყავს. მაგალითად, მის ნაცვლად, რომ ასრე ვსთქვათ:

1. ყოველი ადამიანი სიკვდილის შეილია.
2. მეც ადამიანი ვარ.
3. მაშა-სადამე, მეც მოკვდებო.

ჩვენ ასრე ვფიქრობთ და ვანბობთ: ყოველი ადამიანი სიკვდილის შეილია; მაშა-სადამე, მეც მოკვდები (გამოტოვებულია მეორე სჯა). ანუ ასრე: მე ადამიანი ვარ; მაშა-სადამე, მოკვდები. (გამოტოვებულია პირველი სჯა). შეიძლება კიდე უფრო შევა-მოკლოთ დასკვნა ამგვარად:

- 1) ვითარცა ადამიანი, მე სიკვდილის შეილი ვარ.
- 2) მეც მოკვდები, ამიტომ რომ ადამიანი ვარ.

3) რადგანაც ადამიანი ვარ. მეც მოვკვლები. და სხვა. მაგრამ, როგორც უნდა შევამოკლოთ და-კვნა, ეს-კი უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ ყო-ველს დასკვნაში უსათუოდ სამი სხვა-და-სხვა ტერ-მინი ანუ სიტყვა უნდა იყოს დაცული: უამისოდ დასკვნის შერდგენა შეუძლებელია. მაგ. ზემოთ მოყ-ვანილ დასკვნებშიაც სამ-სამი ტერმინია: დამიანი, მე და სიკვდილი. შემოკლებული დასკვნისაგან ყოველ თვის შეგვიძლია, თუმც გვსრუს, სრული დასკვნა აღვადგინოთ.

§ 15. რთული დასკვნანი.

ყოველი დასკვნის დანიშნულება ის არის, რომ ვიპოვოთ კავშირი იმ ქვემდებარისა და შესმენილს შო-რის, რომლებიც დანასკვენები არიან მოქცეულნი და გამოხატვენ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც გონება ეძებს. ამგვარ კავშირს ჩვენ ხანდისხან ადვილად ვპოულობთ, როგორც მაგ. მარტივ დასკვნებში, რომლებიც მარ-ტო სამი ანუ კიდე უფრო ნაკლებ სჯათგან არიან შემდგარნი; ხანდის-ხან-კი მისი პოვნა ისრე ძნელია, რომ რთულ დასკვნას ვარდგენთ ხოლმე, რათა უი-პოვოთ ჭეშმარიტება, ესე იგი, დანასკვენი, გამოგვყავს მრავალ სჯათაგან, რომლებსაც ერთმანერთს უახლო-ვებთ და ვაკავშირებთ ხოლმე. ვსოდეთ, მაგალითად, ჩვენ გვსურს, რომ შევიტყოთ, შეიძლება თუ არა

კარდის ხიმიურად დანაწილება. ამისთვის გონება არ როგორ რთულ დასკვნას აშენებს:

— გარღი ყვავილი;

— ყვავილი მცენარეა;

— ყოველი მცენარე შეარღევს ორგანიზმს;

— ყოველია ორგანიზმი რთული საგანია;

— ხოლო რაც რთულია, დანაწილდების.

— მაშა-საღამე, გარღის დანაწილებაც შეიძლება:

— აქ, როგორც სჩანს, დანასკვენი გამოყვანილია

მრავალ სჯათაგან, რომლებიც დაკავშირებულნია არიან ერთმანერთთან. მოვიყვანოთ კიდევ მაგალითი:

— ორგანიზმები ჰლპებიან; მცენარეები ირგანიზმები არიან; მაშასაღამე, მცენარეები ჰლპებიან. ხეები არიან მცენარეები; მაშა-საღამე, ხეები ჰლპებიან; მუხები, არიან ხეები, მაშასაღამე, მუხებიც ჰლპებიან.

§ 16 სოფიზმები.

უკეთუ გონებამ არ იხელმძღვანელა გამოკვლეული და მიღებული ლოლიკური კანონებით, შეიძლება ისეთი დასკვნა შეადგინოს, რომ შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი. დასკვნათა უკანონობა წარმოსდგება უმეტესად მაშინ, როცა მჭიდრო ლოლიკური კავშირი ანუ ნამდვილი დამოკიდებულება არ არსებობს. დანასკვნისა და წინა-მძღოლ სჯათა შორის. ეს უკავშირობა ანუ დამოუკიდებლობა იქიდამ წარმოს-

დგება ხოლმე, რომ ხშირად დასკვნაში ნახმარი სიტუაციი ანუ ტერმინები საკმაოდ განსაზღვრილი არ არინ და იმოტომ წინამძღვრლნი სჯანი არ წპრმოგვიდგენენ ნამდევილ საფუძველს დანასკვენის გამოსაყვანად. ამგვარი უკანონო დასკვნები ანუ სილოლიზმები შეიძლება განვებაც შეარყინოს ადამიანმა იმ განზრახვათ, რომ შეცდომაში შეიყვანოს კაცი და ტყვეთლი მართლად გაასალოს ხოლმე. ამიტომაც ამ მიზნით შერდგენილ სალოლიზმებს უწოდებენ სოფიზმებთ. *) აი ცნობილი სოფიზმების სამი მაგალითი.

1. რქოვანი სოფიზმი.

რაც არ დაგუარცეთ, ხომ გაქვა;

რქები არ დაგუარგვია.

მაშა-სადამე, რქებიც გექმნება.

2. დაფარული სოფიზმი.

იცნობ შენ ამ დასაფლავებულ კაცს?

არა.—ეს მამა შენია.

მაშა-სადამე, შენ მამას ვერ იცნობ.

*) საბერძნეთში ერთს დროს ცხოვრიბდენ ცრუ—პენტელი ფილოსოფოსები, რომლებიც ისრე იყვნენ დახელოვნებული და გავარჯიშებული სილოლიზმების შერდგენაში, რომ როცა რასა მეს იცავდნენ და მჭევრმეტყველებდნენ, ადვილათ შეყავდათ. სმენელები შეცდომაში. ამ გვარ ფილოსოფოსებს სოფიზმებს ეძახდნენ.

3. მატუუარა სლიფიზმი.

კრიტელი ეპამინონდი ამტკიცებდა, ყველა
კრიტიკელები ცრუ არიანო.

მაგრამ თვით ეპამინონდი კრიტელი არის.

მაშა-სადამე, თვით ეპამინონდი სტუუვის.

§ 16. ინდიქტიური დასკვნა ანუ გასაზოგადოება.

ინდიქტიური დასკვნა არის ისეთი დასკვნა, რომელ-
შიაც კერძო სჯათაგან გამოგყავთ დანასკვენში საზო-
გადო ჭეშმარიტება, ესე იგი, დანასკვენში ყველა ერთ-
გვარ საგნებს, ფაკტებს ანუ მოვლენებს ვაწერთ და ვა-
კუთნებთ იმ თვისებას, რომელსაც ზოგ მათგანში
ვპოვებთ. მაგალითები: 1. ესთქვათ, ჩეენ ვიცით,
რომ 2, 4, 6, 8, 10 და ზოგიერთი სხვა ლუწი რიცხ-
ვები განიყოფებიან 2-ზე უნაშთოთ. მაშა-სადამე (ვამტ-
კიცებთ) ყოველი ლუწი რიცხვი განიყოფება 2-ზე
უნაშთოთ 2) ესთქვათ, ექიმები გამოცდილებით დარწ-
მუნდჩენ, რომ ერთს, ორს, სამს, ოთხს, ხუთს და
მრავალ ყმაწვილებს, რომელთაც პირველად აუცრეს
ყვავილი, აღარ შეყრიათ ნამდვილი ყვავილი. აქე-
დამ მათ გამოიყვანეს ესეთი საზოგადო დასკვნა:
მაშა-სადამე, აცრა იცავს ყოველს ადამიანს ყვავილის
შეყრისაგან.

ისეთი ინდიქტიური დასკვნის შერდგენა ბუნების
იმ საზოგადო კანონზე არის დამყარებული, რომ ყვე-
ლა ერთ გვარ საგნებში ანუ მოვლენებში არსებობს.
ერთი და იგივე საზოგადო არსებითი თვისება. მაშა-
სალამე, როცა ზოგიერთ მათვანში ეპოვებთ ცნობილ
არსებითი თვისებას, მაშინ გონება ჩვენი ამტკიცებს,
მოხსენებული კანონის ძალით, რომ ის თვისება ყვე-
ლა სხვა იმ გვარ საგრებშიაც უნდა არსებობდეს. ინ-
დიქტიური დასკვნა შეიძლება ორ ნაირი აყოს: სჟუ-
ლი და უსრული. სრული ინდიქტიური დასკვნა მაშინ
რქმნება, როცა საზოგადო დანასკვნის გამოსაყვანად
ჩამოთვლილია ყველა ერთ-გვარი კერძო შემთხვევა
ანუ საგნები. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ:

გაზაფხული სამს თვეს შაიცავს,
ზაფხული სამს თვეს შაიცავს,
შემოდგომა სამს თვეს შაიცავს,
და ზამთარიც სამს თვეს შაიცავს.

მაშასალამე (ვამტკიცებთ საზოგადო) ყოველი
დრო წლისა შაიცავს სამს თვეს.

უსრული ინდიქტიური დასკვნა ისეთი დასკვნაა,
რომელშიაც არ არის ჩამოთვლილი სათითაოდ ყვე-
ლა კერძო შემთხვევა ანუ საგანი ერთი გვარისა და
საერთო დანასკვენი გამოყვანილია მხოლოდ რავდე-
ნიმე. მაგალითისავან. მაგალითად: ესთქვათ ქინამ, არ-
გო ერთს ციებიან აღამიანს, მეორეს, მესამეს, მეოთხეს,

შეხუთეს და კიდე მრავალს. აქეფამ ექიმს შეუძლია
გამოიყვანოს ისეთი საზოგადო დასკვნა: მაშა-საღამე,
ქინა-რგებს ყოველ ციიბიან ავათმყოფს. ორ-
გვარი ინდიქტიური დასკვნები რომ შევადაროთ ერთ-
მანეროს, დაინახავთ, რომ მხოლოდ სრული ინ-
დიქტიური დასკვნა წარმოგვიდგენს შეუმცდარ კეშმა-
რიტებას; უსრული ინდიქტიური დანასკვენით გამო-
ხატულ კეშმარიტებას-კი არ შეგვიძლია უწოდოთ
ნამდვილი ანუ შეუმცდარი კეშმარიტება, რაღაც კ
მასში ჩამოთვლილი არ არის სათათაოდ ყოველი
კერძო შემთხვევა. მაგალითად, შეიძლება არ გამარ-
თლდეს ყოველ შემთხვევაში ის საზოგადო დანასკ-
ვენი, რომ აცრა იფარავს ყოველ ადამიანს ნამდ-
ვილი ყვავილისაგან, რაღაც შესაძლებელია მოხ-
დეს, რომ აცრილსაც შეეყაროს ყვავილი.

§ 17 ანალოგია.

ანალოგია ისეთ დასკვნასა ჰქვიან, რომელიც
დაფუძნებულია ორი ერთ-გვარი საგნის ზოგიერთი
თვისების მზგავსებაზე. ესე იგი: თუმც დარწმუნებით
ვიცით, რომ ორი ერთ-გვარი საგანი ზოგიერთი
თვისბით ანუ ნიშნეულობით სრულიად გვანან ერთ-
მანეროს და იმვე დროს ერთს მათ განში ეპოუ-
ლობთ სხვა ახალ თვისებას, მაშინ ჩვენ ვამტკიცებთ,
რომ ის თვისება უთუოდ მეორე საგანშიდაც უჩდა.

იმურთებოდეს. მაგალითი. ასტრონომებმა გამოიკვლიეს და დარწმუნდნენ, რომ ზოგიერთი პლანეტები, როგორც მაგალითად „მარსი“ და „ვენერა“ ძრეულ გვანან ჩვენ დედა-მიწას, ისინიც ისრე ტრიალებენ, როგორც ჩვენი პლანეტი; ისეთივე ჰაერით არიან გარს მოცული და სხვ. აქედამ მათ ეხლა ის დანასკვენი გამოყავთ, რომ „მარსზე“ და „ვენერაზედაც“ უნდა სცხოვრებდნენ ისეთივე სულ-დგმული არსებანი, როგორიც სცხოვრებენ დედა-მიწაზე.

ამერიკელმა მეცნიერმა ფრანკლინმა შენიშნა, რომ ელექტრონი და ელვა ზოგიერთი თვისებით ერთმანერთსა გვანან: ორივეს ერთნაირი ფერი აქვსთ, ერთ-გვარად მსწრაფლ გარბიან დიდს მანძილს და სხვ. ამას გარდა მან ელექტრონში ის თვისებაც იპოვა, რომ მას ძრიელ იზიდავს ზოგიერთი მაღნეული, როგორც მაგ. რკინა და სპილენძი. მაშა-სადამე, ეს თვისება ელვასაც უნდა ჰქონდესო, იფიქრა მან. ეს ანალოგია ანუ მზგავსება ნამდვილი გამოდგა, და ფრანკლინმა ამ გვარად მოიგონა ქუხილის მიმზიდველი და თავიდამ ასაშორებელი იარალი. ინდიქტიურ დასკვნიდგან ანალოგია მით განირჩევა, რომ ინდიქტიურ დასკვნაში კერძო ფაკტებიდგან გამოგვყავს საზოგადო კანონი. ანალოგიაში კი კერძო საგნიდან ჯადავდივართ კერძო საგანზე და მარტო მისი თვისების შესახებ გამოგვყავს დანასკვენი.

III.

ჰაზროვნების სამეცნიერო ფორმები.

§ 18 ჰაზროვნების სამეცნიერო ფორ- მების განსაზღვრა.

ადამიანის გონების გახსნა და განვითარება ანუ ცოდნის შეძენა იწყება, როგორც ვიცით წინეთ ნათ- ქომიდგან, წარმოდგენათა, ცნებათა, სჯათა და დას- კვნათა შერდგენით; მაგრამ ცხადია, იგინი არ უნდა დარჩინენ გონებაში ყოველთვის გაცალკევებულნი, არამედ უსათუოდ უნდა შეერთდნენ და დაკავშირდ- ნენ ერთმანერთთან, რათა შეარდგინონ განსაზღვრი- ლი, წესიერად თავ-მოყრილი და დალაგებული ცოდ- ნა. ამ გვარად შესდგება ხოლმე, თან-და-თან მრა- ვლდება, ვრცელდება და წესიერად ლაგდება გონე- ბაში ადამიანისაგან შეძენილი მრავალი სხვა-და- სხვა გვარი ცოდნა. ჰაზროვნების იმ მოქმედებას, რომელიც აძლევს ჩვენ მიერ შეძენილ ცოდნას სა- ჭირო განსაზღვრასა და სისტემატიურ წესს, ეწო- დება მეცნიერული მოქმედება, ხოლო მის ნაყოფს სისტემა ცოდნათა ანუ თვით მეცნიერება.

ერთი სიტყვით, მეცნიერება ჰქვიან ლოლიკუ- რად შეერთებულს ცოდნას, რომელშიაც ყველა

სხვა-და-სხვა ცოდნა ერთ-გვარ საგნებზე მჭიდროდ
არიან შეკავშირებული ურთი ერთ შორის და თვი-
თეულს მათგანს (ცოდნას) თავისი შესაფერი ად-
გილი უჭირავს მთელ სისტემაში. მაგალითად: სის-
ტემატიურად შეერთებული და დალაგებული ცოდნა
ლოლიკური კანონებისა, ფორმებისა და მეთოდებისა
შეარდგენს იმ მეცნიერებას, რომელსაც ლოლიკას
უწოდებთ; სისტემატიურად შეერთებულ ცოდნას
ენის კანონებისა და ფორმების შესახებ ეწოდება
მეცნიერება „გრამატიკა“; სისტემატიურად შეერთე-
ბული და დაწყობილი ცოდნა მცენარეების შესახებ
წარმოგვიდგენს მეცნიერებას „ბოტანიკას“ და სხვ.

თუმც თვითეულ მეცნიერებას აქვს თავისი სა-
კუთარი შესაფერი ცოდნის შესაძენი და აღსანუსხავი
ხერხი, მაგრამ, მაინც კიდევ იმყოფებიან ისეთი სა-
ზოგადო ლოლიკური სახსარნი, რომლებიც ერთ-
ნაირად საჭირო არიან ყოველი მეცნიერებისთვის.
ესეთები არიან: ლოლიკურად განსაზღვრა, დაუღვა,
დამტკიცება და ბოლოს მეცნიერები მეთოდები.

§ 19 განსაზღვრა.

განსაზღვრა რისიმე არის ისეთი ლოლიკური
მოჭმედება, რომელიც გვიჩერებს, რა არის იგი და
რითი განიჩევა სხვა საგნებისაგან. ხოლო ამისთვის

საჭიროა ჩვენება მისი, თუ რომელ უუახლოესს სა-
განთა გვარს ეკუთვნის განსასაზღვრავი საგანი და
რასში მდგომარეობს მისი განსხვაება იმვე გვარის სხვა
საგნებისაგან. მავალითები: ურამატიკა არს მეცნიე-
რება (უუახლოესი გვარი), რომელიც იკვლევს ენის
კანონებსა და ფორმებს (განსხვაება გრამატიკისა
სხვა მეცნიერებათაგან). სწორი ხაზი არს უუმოკლესი
მანძილი ორთა წერტილთა შორის და სხვა.

ამ გვარად, თუ გეინდა, რომ განსაზღვრა სწო-
რედ ჯეროვანი ანუ კანონიერი იყოს, ჩვენ უნდა
დავიცვათ შემდეგი პირობები:

1) განსაზღვრაში, როგორც ვსთქვით, უთუოდ
უნდა ნაჩვენები იყოს უუახლოესი გვარი საგნისა და
არა შორეული. უკეთუ გვსურს, მაგალითებრ განვსა-
ზღვროთ, რა არის მუხა, უნდა ვიტუოდეთ, მუხა არს
ხე და არა მცენარე.

2) განსაზღვრა უნდა უდრიდეს თვისი სივრ-
ცითა და შანა-არსით განსასაზღვრავ ცნებას, ესე იგი
განსაზღვრა არ უნდა იყოს არც მეტი და არც ნაკ-
ლები მაზედ. მეტად ვრცელი განსაზღვრა მაშინ იქმ-
ნება, როცა მასში ნაჩვენებია უფრო ნაკლე არსე-
ბითი მისი ნიშვნეულებანი, ეიდრე იპყრობს. თვით
განსასაზღვრავი ცნება. ავილოთ, მაგ., შემდეგი განსა-
ზღვრა: „ადამიანი არს გონიერი და თავისუფალი
არსება“. ეს განსაზღვრა მეტად ვრცელია, იმიტომ
რომ შაიცავს ანგელოზებსაც, რომლებიც გონიერი

და თავისუფალი არსება არიან; საჭირო იყო გვეჩვენებია განსაზღვრაში აკრეთვე, რომ ადამიანი ხორციელი გონიერი არსებაც არის. მეტად ვიწრო განსაზღვრა მაშინ გამოვა, როცა მასში ჩამოთვლილი იქმნება უფრო ბევრი თვისება, ვიდრე თვით განსასაზღვრავი ცნება იპყროს. მაგ. ვსთქვათ: „ადამიანი არის არსება გონიერი, თავისუფალი სულ-ხორციელი და თეთრ ფეროვანი. ეს განსაზღვრა ადამიანისა უფრო ვიწროა, ვიდრე თვით ცნება „ადამიანი“, რადგანაც აქ გამორიცხული არიან ადამიანებისაგან ყველანი, ვინც თეთრი ფერისა არ არიან.

3) განსაზღვრა არ უნდა წარმოადგენდეს განსასაზღვრავი ცნების განმეორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ის არაფერს არ განსაზღვრავს, მაგ. ქუხილი არის ის, რაც ჰქუებს; ნათელი არის ის, რაც ანათებს. და სხვ.

4) განსაზღვრა არ უნდა იყოს შედგენილი ისეთი ნიშნეულობის ჩამოთვლით, რომელიც გვიჩვენებენ, რა არა აქვს განსასაზღვრავ ცნებას. მაგალითებრი: ვსთქვათ: წყალი არ არის მიწა; ქვა არ არის ხე; ვერცხლი არ არის ოქრო და სხვა.

5) ამას გარდა განსაზღვრა საგნისა უნდა გამოხატული იყოს მოკლედ და ცხადად, ესე იგი, მასში არ უნდა იყვნენ არც მომეტებული და არც გაუგებარი სიტყვები.

განსაზღვრა სხვა-და-სხვა ნაირია: შეიძლება ადამიანმა განსაზღვროს ან ისეთი საგნები, რომლებიც ნამდეილად არსებობენ ქვეყანაზე, ესე იგი, ეს-რედ წოდებული რიალური საგნები,, ანუ კიდევ ისეთი წოდებანი, რომლებიც, მართალია, შემოლებული არან ხმარებაში, მაგრამ ხშირად არ შეესაბამებიან არსებულ საგნებს. პირეელ გეარ განსაზღვრას უწოდებენ რიალურ (ნიეთიერ) განსაზღვრას, ხოლო მეორე გეარისას ნომინალურს. მაგალითები: წყალი სითხეა, რომელიც შესღება წყალ-ბადისა და მჟავა-ბადისაგან. (რიალური განსაზღვრა). რაში არს ფრთველი ბედაური (ნომინალური განსაზღვრა).

როცა განსაზღვრა გვიხატავს თვით იმ სახეს, თუ როგორ წარმომდგარა განსასაზღვრავი საგანი, მაშინ მას ეწოდება გენერიური განსაზღვრა. მაგ. ერთი მანძილიდგან რომ მეორე მანძილამდის ლარი გავსჭიმოთ, მიეიღებთ სწორს ჩაზს.

განსაზღვრის ნაცვლად ზოგჯერ პხმარობენ შედარებას. მაკალითად: სიყმაწვილე არს გაზაფხული ადამიანის ცხოვრებისა.

ისეთი საგნების ლოლიკურად განსაზღვრა, რომლებიც თითო-თითო არიან ქვეყანაზე, როგორც მაგალითად, მტკვარი, თფილისი, პალიასტომი, სურამის ციხე და სხვ. შეუძლებელია, რადგანაც იმათი განსაზღვრისთვის საჭიროა არა მარტო არსებითი ნიშნენეულობის ჩამოთვლა, არამედ სრული აღწერა.

§ 20 დაყოფა.

როდესაც საჭიროა, რომ რომელიმე ცნების სივრცე გამოვიყვალით ცალ-ცალკე, მაშინ ჩვენ ჩამოვსთვლით ხოლმე უველა იმ დაბალ ცნებებს, რომ ლებსაც შეიცავს დასაყოფი უმაღლესი ცნება. ამ გვარ ლოლიკურ მოქმედებას ეწოდება დაყოფა. მაგალითად ავიღოთ ცნება ადამიანები, იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ ქვეყნის ნაწილში სცხოვრობს, ადამიანები დაიყოფებიან: ევროპიელებად, აზიელებად, აფრიკელებად, ამერიკელებად და აესტრალიელებად. სიტყვიერი ნაწარმოები ანუ თხზულებანი დაყოფებიან პროზად და პოეზიად, და სხვ. ამ სახით, ლოლიკური დაყოფა ეწოდება ისეთ მოქმედებას, რომელიც ჩამოთვლის და გამოარკვევს უველა დაბალ ცნებებს, რომელთაც იპყრობს უმაღლესი ცნება.

საჭიროა ყოველ ლოლიკურ დაყოფაში განვარჩევდეთ: დასაყოფს ცნებას, წევრებს დანაყოფისას და თვით საფუძველს. დასაყოფი ეწოდება იმ ცნების სივრცეს, რომელსაც დაყოფთ ხოლმე; ხოლო უველა სახის ცნებები, რომლებათაც მას დაყოვთ, შეარღენენ წევრებს დაყოფისას. ავიღოთ მაგალითად შემდეგი დაყოფა: ცხოველები არიან შინაური და გარეული. ამ დაყოფაში ცნება „ცხოველები“ შეარღენს მრთელს, რომელიც ჩვენ გავყავით; ხოლო ცნება

ბები „შინაური“ და „გარეული“ არიან გაყოფის
წევრები.

რაიცა შეეხება დაყოფის საფუძველს, საჭიროა გვან-
სოვდეს შემდევი: ყოველთვის, როცა ჩვენ ლოლიკურად
დაყოფთ რომელიმე ცნებას, უთუოდ უნდა ავიღოთ
მისი შინა-არსიდამ ერთი რომელიმე არსებითი ნიშ-
ნეულობა და მისი მიხედვით უნდა მოვახდინოთ ხოლ-
მე დაყოფა. აი სწორეთ ის არსებითი ნიშნეულობა,
რომლითაც ჩვენ ხელვაზღვანელობთ რისიმე დაყო-
ფის დროს, შეარდგენს დაყოფის საფუძველს. როცა,
მაგალითად, აღამიანებს დაყოფა ჩვენ მამა-კაცებად
და დედა-კაცებად, მაშინ დაყოფის საფუძლად ვხმა-
რობთ იმ არსებითი ნიშნეულობას, რომელსაც ვე-
ძახით „სქესს“; ხოლო როცა დაყოფა აღამიანებს;
უმაწვილებად, ჭაბუკებად, ვაჟ-კაცებად და მოხუცებუ-
ლებად, მაშინ საფუძლად ვხმარობთ „ხნიერობას“.

თითქმის ყოველ ცნებაში არის რაცდენიმე ისე-
თი ნიშნეულობა, რომელის მიხედვითაც შეიძლება
მისი დაყოფა. მაშა-სადამე, ერთი და იგივე ცნება შე-
იძლება დაყოფა სხვა-და-სხვა საფუძლით სხვა-და-სხვა
ნაირად. მაგ. იგივე ცნება „აღამიანები“, გონების გახ-
სნის მიხედვით, შეგვიძლია დაყოფა განათლებულებად
და გაუნათლებლებად. ხოლო შექლების მიხედვით, — მდი-
დორებად და ღარიბებად. სარწმუნოების მიხედვით, —
ქრისტიანებად, ეპრალებად, მაპხმაღიანებად და წარ-
მართებად. და სხვ. ამგვარ დაყოფას ერთი და იგივე

ცნებისას სხვა-და-სხვი საფუძველების მიხევით ეწო-
დება განაწილება. მაგრამ როცა უნდათ, რომ დასაყო-
ფი ცნების სიკრცე სრულიად გამოირკვეს, მაშინ უმ-
თავრესი დაყოფის თითეულს წევრს კიდევ დაყოფენ
ანუ დაანაწილებენ ხოლმე, ესე იგი, ყველა სახის
ცნებას, რომელსაც-კი დასაყოფი ცნება იპყრობს,
ცალ-ცალკე დაანაწილებენ უუმცირესს ცნებებად.
მაგალითი: ქართველები დაიყოფებიან: ქართლელებად
კახელებად, იმერლებად, კლარჯეთელებად და ჯანელე-
ბად. ქართლელები კვლავ განაწილდებიან: ზემო ქართ-
ლელებად, შინაქართლელებად და ქვემო ქართლელე-
ბად, კახელები კვლავ განიყოფებიან: შინა კახელებად და
გარე კახელებად. იმერლები: ზემო იმერლებად, ქვემო
იმერლებად, მეგრელებად, რაჭველებად, გურულე-
ბად, სამურჩაყანებლად და სვანებად. ყველა თხზულე-
ბები უპირველეს დაიყოფებიან: პოეტიურად და პრო-
ზულათ. შემდეგ პოეტურ თხზულებებს ჰყოფენ კი-
დევ: ჰეპიურად, ლირულად და დრამატიულად. ხო-
ლო პროზულ თხზულებებს: აღწერად, მოთხრობად
და განსჯად. ამას ვარდა თვითეული მოხსენებული
სახე თხზულებათა კვლავ დაანაწილების თვისდა შე-
საფერად. დრამატიულ თხზულებებს ჰყოფენ, მაგ:;
ტრაგედიებად და კომედიებად და სხვ.

როცა ამგვარად ერთი რომელიმე ცნება დაყო-
ფილია ყველა საფუძველის მიხედვით, და აფრეთვე
თვითეული მისი წევრიც დაანაწილებულია ისე, რომ

ზთელი ცნების სივრცე სრულებით გამოჩკვეულია; შაშინ ამგვარ ანუსხვას ეწოდება სისტემა ანუ კლას სიფიგაცია.

თუ გვინდა, რომ ლოლიკური დაყოფა კანონი ერი იყოს, ჩვენ უნდა დავიცვათ შემდეგი პირობები.

1. ლოლიკურ დაყოფას უსათუოდ ერთი საფუძველი უნდა ჰქონდეს, რომლითაც უნდა ხელვძლეანელობდეთ მთელ სისტემაში; წინააღმდეგ შემთხვევაში დაყოფა გამოვა არეული. ამგვარი იქნება, მაგ., თუმც ჩვენ აღამიანებს ასრე დავყოფთ: აღამიანები არიან მდიდრები და განათლებულები. აქ, როგორც სჩანს, არეულია ერთმანერთში ორი საფუძველი (შეძლება და გონებითი განვითარება) და ამიტომაც თეთი დაყოფაც აირია, რადგანაც შეიძლება მდიდარი განათლებულიც იყოს და განათლებული ღარიბიც. ამას გარდა ლოლიკურო ჩაყოფის საფუძვლის შესახებ უნდა ისიც გვაჭსოვდეს, რომ საფუძვლად უსათუოდ უნდა ავილოთ არსებითი ნიშნეულობა საკნისა და არა შემთხვევითი. არ შაიძლება, მაგალითად აღამიანების დაყოფის დროს მივიღოთ საფუძვლად ისეთი შემთხვევითი ნიშნეულობა, როგორც ფიზიკური რი რაიმე ნაკლულევანება (სიბრმავე, სიკოჭლე და სხვ.) არის ხოლმე.

2. ყველა წევრები ლოლიკური დაყოფისა ერთად უსათუოდ უნდა უდრიდნენ დაყოფილი ცნების სივრცეს, ესე იგი, დაყოფაში არ უნდა იყოს არც მეტი

და არც ნაკლები არასფერი; წინააღმდეგ შემთხვევა-
ში დაყოფა ან შეტად ვრცელი გამოვა, ან შეტად ვიწ
რო. მაგალითები: პოეტიური თხზულებანი შეიძლე-
ბა იყვნენ: ჰეპიურნი, ლირიურნი, ღრამატიურნი და
აღწერითნი. ეს დაყოფა უფრო დიდია სივრცით, ვიდ-
რე თვით ცნება „პოეზია“, რაღანაც მასში შეტანი-
ლია აღწერითი ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნის
პროზას და არა პოეზიას. ესვე ცნება რომ ასრე და-
ცყოთ: პოეტიური თხზულებანი არიან ჰეპიურნი და
ღრამატიურნი, მაშინ დაყოფა უფრო ვიწრო იქნე-
ბა სივრცით, ვიდრე თვით ცნება „პოეზია“, რაღ-
განაც დაყოფაში გამოტოვებულია ერთი სახე პოე-
ტიურ თხზულებათა, სახელდობ, ლირიული თხზულე-
ბები.

3. ლოლიკური დაყოფის წევრები უნდა შემდ-
გარი იყვენ ისეთ ცნებათაგან, რომელებიც ერთი მე-
ორისაგან სრულიად განირჩევიან; წინააღმდეგ შემთხ-
ვევაში დაყოფა გამოვა სიტყვების განმეორება და აი-
რევა ხომლე. ესეთი იქმნება, მაგ., ჩეენ რომ აღა-
მიანის მოქმედება დაცყოთ: სასარგებლოდ და სასია-
მოვნოდ, რაღვანაც ადამიანის ზოგიერთი მოქმედება
შეიძლება სასარგებლოც იყოს და სასიამოვნოც.

4. გავრცელებულსა და სრულს ლოლიკურ და-
ცყოფაში უნდა დაცული იყოს თან-და-თანობა ანუ
მიმდევრობა, ესე იგი, ისრე უნდა გადავდიოდეთ ერ-
თი ცნებიდგან მჯორე უმდაბლესს ცნებაზე, რომ მათ

შორის არაფერი ანუნდა გამოვსტოვოთ ხოლმე, თო-
რემ დაყოფა არ იქმნება. გამორკვეული და აღვილად
გასაგები. მაგალითად, ჩვენ რომ პოეზია. პირდაპირ
დავყოთ; პოემებად, ბალადებად, რომანებად და მოთ-
ხორბებად, მაშინ დაყოფაში ნახტომი გვექმნება,
რადგანაც პოეზია პირველად უნდა დაგვეყო: ჰეპიუ-
რად, ლირიურად და დრამატიურად, ხოლო შემდეგ
ჰეპიური პოეზია თავის-თავად უნდა დავყოთ: პოემად,
ბალადად, რომანად და მოთხორბად.

§ 21 დამტკიცება

ჩვენ ცოდნას საგანთა შესახებ მხოლოდ მაშინ
აქვს ლირისება და ფასი, როდესაც იგი ნამდვილი ანუ
ჭეშმარიტია, ესე იგი, როცა ჩვენ ეჭვი არა გვაძვს
მის ჭეშმარიტებაში, ხოლო ესეთი ის მხოლოდ მა-
შინ შეიქმნება, როცა დამტკიცებულია. დამტკიცება
რომელიმე ჰაზრის ჭეშმარიტებისა არს ისეთი ლოლი-
კური მოქმედება, რომელიც მოიპოვებს და წარმოგ-
ვიდგენს ძის სასარგებლოდ საკმაო საფუძველს, ესე
იგი, ისეთ უეჭველ საფუძვლებს, რომელთაგან ცხა-
ლათ სჩანს დასამტკიცებელი ჰაზრის ჭეშმარიტება.
როცა, მაგ. გეოგრაფები გვიმტკიცებენ დედა მიწის
სიმრგვალეს, მაშინ ისინი წარმოგვიდგენენ შემდეგს
საფუძვლებს:

1) მოგზაური რომ წავიდეს დედა-მიწის ერთი

რომელიმე დანიშნულ ადგილიდგან და სულ პირ-და-პარ იაროს, შემოუვლის გარშემო დედა-მიწის ზურგს და ისევ იმ ადგილზე მოვა, საიდამაც წავიდა.

2) როცა მხე ამოდის, ყველაზე უწინ მისი სხივები გაანათლებენ ხოლმე მაღალი მთის წვე-რებსა და აგრეთვე უუმაღლეს შენობების სართუ-ლებს. ამგვარვე მოვლენას ვამჩნევთ მაშინ, როცა მზე ჩადის ხოლმე,

3) მთვარის დაბნელების დროს დედა-მიწა ისე-რის ხოლმე მრგვალ აჩრდილს.

4) ზღვაში მოგზაურობის დროს, ჩვენ ვხედავთ შორიდგან პირველად შერტო ხომალდების უუმაღ-ლეს ნაწილს, მერმე, როცა დაუახლოედებით, შეა-ტანს და ბოლოს მთელს ხომალდს.

ყველა ეს მოვლენა ცხადათ გვამტკიცებს, რომ დედა-მიწა მრგვალია.

ამ გვარად, ლოლიკურ დამტკიცებად იწოდება ვამოყვანა რომელიმე დასამტკიცებელი სჯის ჭეშმა-რიტებისა სხვა უკვე ჭეშმარიტად ცნობილ სჯათაგან.

ყოველი ლოლიკური დამტკიცების დროს უნდა გვქონდეს მხედველობაში ერთი ის, რასაც ვამტკიცებთ, მეორე ის, რითაც ვამტკიცებთ დასამტკიცებელ ჰაზრს, მესამეც ის, თუ რა სახით ვამტკიცებთ რას-მეს. დასამტკიცებელ ჰაზრს ეწოდება ტეზისი; მსჯე-ლობანი, რომლებითაც მას ვამტკიცებთ, იწოდებიან საფუძველებად ანუ დამტკიცების არგუმენტებად; ხო-

ლო თეით სახე, რა გვარად გამოგეყავს საფუძვლებიდან დასამტკიცებელი ჰეზრის კეშმარიტება, იწოდება, დამტკიცების ფორმად.

დასამტკიცებლად პხმარობენ საზოგადოთ ორნაირ ხერხს: კეშმარიტება რომელიმე ჰეზრისა გამოყავთ საფუძველიდან ან პირ-და-პირ მათი გამორკვევითა და განხილვით, ან კიდევ გადახვევეით, ესე იგი, წინააღმდეგი ჰეზრების გაბათილებით. პირველ შემთხვევაში ლოლიკურ დამტკიცებას ეწოდება პირ-და-პირი დამტკიცება, მეორე შემთხვევაში გადახვეული დამტკიცება. მაგალითები: ესთქვათ, ჩვენ უნდა დავამტკიცოთ ის ჰეზრი, რომ საჭიროა თუ არა, ქალებსაც ეძლეოდესთ სწავლა-განათლება. ამ ჰეზრის დამტკიცება შაიძლება ორ ნაირად: როგორც პირ-და-პირ, ისე არა პირ-და-პირ. პირველი დამტკიცება: ქალები არიან იგრუთივე არსებანი, როგორიც მამა-კაცები. მაშა-სადამე მათაც ისეთივე უფლება აქვთ სწავლა-განათლების მაღლებისა, როგორც მამა-კაცებს. დედა-კაცები არიან წევრი ოჯახ-სა და საზოგადოებისა; ოჯახისთვისაც და საზოგადოებისთვისაც უმჯობესია განათლებული წევრები ჰყავდესთ, ვიდრე უმეცარნი, მაშა-სადამე ოჯახისა და საზოგადოების ინტერესი მოითხოვს, რათა ქალებიც იღებდნენ სწავლა-განათლებს. სწავლა ქალებისთვისაც ისრე საჭიროა, როგორც მამა-კაცებისთვის, რათა მათაც შეეძლოთ

გაჭიერების დროს თავის ცოდნით საზრდო მოიპოვონ, თავს უჰატრონონ. და სხვ. მაში მიუტილებად საჭიროა, ქალებიც იღებდნენ სწავლა-განათლებას.

მეორე ნაირი დამტკიცება. დაუსთანხმდეთ დროებით, რომ ქალებს არა აქვსთ უფლება სწავლა-განათლება მიიღონ. მაგრამ რა გამოეა აქედამ? თუმცი მართლა ქალებს არა აქვსთ სწავლა-განათლების მიღების უფლება, მაში ისინი არ ყოფილან ისეთი ადამიანები, როგორიც არიან მამა-კაცები; მაგრამ ეს რომ კითიქროთ, სწორეთ უგნიურება იქმნება. ეინც ფიქრობს, რომ ვითომც ქალებს არ ჰქონდესთ სწავლა განათლების მიღების უფლება, ის, იმ ჰაზრი ამტკიცებს, რომ ოჯახსა და საზოგადოებას უჩიევნია გაუნათლებელი და უმეტარი დედები და საზოგადოთ წევრები ყავდეს; მაგრამ ესეც ხომ უგნიურებაა თუმცი დედა კაცებს არა აქვსთ უფლება ისწავლონ, მაში რმათ არც რს უფლება ჰქონოთ, რომ თავის-თავზე თვ-თ იზრუნონ და საზრდო მოიპოვონ, მაგრამ ესეც ხომ სისულელეა. მაშა-საღამე, ცხადია, ქალებსაც ისეთივე უფლება აქვსთ სწავლა-განათლება მიიღონ, როგორიც ვაეცებს.

როგორც სხვა ლოლიკურს მოქმედებას, ისრე დამტკიცებასაც თავისი წესი აქვს, რომელიმც უნდა ხელვძლვანელობდეთ, როცა რასმეს ვამტკიცებოთ,

უკეთუ გვინდა, რომ დამტკიცება კანონიერი იყოს.
დამტკიცების უმთავრესნი წესები არიან შემდეგნი.

1) აღამიანი უნდა ამტკიცებდეს მხოლოდ იმას,
რაც ჟამდევილად საჭიროებს დამტკიცებას, ამიტომ
რომ ისეთი ჰაზრის დამტკიცება, რომელის ჭეშმარი-
ტება ანუ ტყვეილობა ყველასა-თვეს თავის-თავად
ცხადია, უგნურება იქმნება, მაგ., რა საჭიროა ვამტ-
კიცებდეთ, რომ $2 \times 2 = 4$ და სხვ.

2) ტეზისი უსათუოდ უნდა ცხადათ და გრუვე-
ვით იყოს გა მხატული, რთა დამტკიცებელმა კარ-
გათ იცოდეს, რა უნდა დაამტკიცოს და პირ-და-პირ
მიზანს არ აცილდეს ხოლმე.

3) საფუძვლები რომლებზედაც დაამყარებულია
ჭეშმარიტება დასამტკიცებელი ჰაზრისა, ან თავის-
თავად უნდა იყვნენ ჭეშმარიტნი, ან კიდეული უკვე
ისრულებულნი, რომ მათი სიმართლე არა-
ვის საეჭვოდ არ მიაჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში
იმ ჰაზრის ჭეშმარიტებაც, რომელიც მათზე იქმნება
დამყარებული, უთუოდ საეჭვო გამოვა. მაგალითად,
ვსთქვათ: კრეზი ბედნიერი იყო, რადგანაც მას დიდი
ქონება ჰქონდა. აյ იმ ჰაზრის ჭეშმარიტების საფუძ-
ვლად, რომ კრეზი ბედნიერი იყო, მოგვყავს ჩვენ
სიმდიდრე, მაგრამ საქმე ის არის, რომ საეჭვოა,
თვით სიმდიდრე შეარდგენს ჭეშმარიტ ბედნიერე-
ბის ნამდვილ წყაროს, თუ არა. ჩვენა ვხელავთ, მაგ.,
რომ მზე ამოდის და ჩადის, მაგრამ ეს საფუძველი

არ გამოგვადგება იმ ჰაზრის დასამტკიცებლად, რომ
მხე მოძრაობს, ამიტომ რომ, როგორც ვიცით, ამ
შემთხვევაში თვალებს ჩვენ შეცდომაში შევყევართ,
რადგანაც თვით დედა-მიწა ტრიალებს და ჩვენ-კი
ასრე გვეჩვენება, ვითომც მზე მიქრის.

4) დამტკიცებელმა არ უნდა იხშაროს რომელიმე
ჰაზრის დასამტკიცებლად თვით ისვე ჰაზრი, რომელ-
საც ამტკიცებს, თორუმ მაშინ დამტკიცებმა გამოვა
უბრალო სიტყვების განმეორება და დამტკიცებით
კი ვერაფერს ვერ დამტკიცებს. ესეთი იქმნება, ჩაგ.,
რომ ვანმემ სთქვას, ესა-და-ეს ადამიანი მოკლა იმი-
ტომ, რომ უნდა მომკვდარიყო.

5) ბოლოს, დამტკიცება ფორმითაც უნაკ-
ლულო ანუ კანონიერი უნდა იყოს, ესე იგი მასში
უნდა იყოს დაცული სრული ლოლიკური თან-და-
თანობა და საჭირო კავშირი საფუძველთა და დანას-
კვენთა შორის და არა ვითარი ნახტომობა არ უნ-
და ეტყობდეს ხოლმე.

IV.

§ 22. ჭარბოვნების სამეცნიერო მეთო-
დები.

ყოველთვის, როცა ადამიანს საქმის გაკეთება
ჰქონს, მინამ საქმეს შაულგებოდეს, მოისაზრებს ხოლ-
მე იმ გეგმას, რომელითაც უნდა იხელმძღვანელოს
მოქმედობის დროს, თუმც უნდა, რომ წადილს მი-
სწოდეს. ჩვენი ჰაზროვნებისათვისაც, რადგანაც იგიც
გონების ისეთი მოქმედობაა, რომელიც ელტვის ჭრ-
მარიტი ცოდნის შეძენას, მიუკილებლად საჭიროა
წინ-და-წინ განსაზღვრილი გზა ანუ გეგმა. ხოლო
იმ გზას მოქმედებისას, რომელიც მიმართულია რომე-
ლიმე მიზნის მისაღწევად, ეწოდება საზოგადო მე-
თოდი, კერძოდ მეთოდი ჰაზროვნებისა.

§ 23. გამოკვლევის ინდიქტიური მეთო-
დები. დაკვირება და გამოცდა.

ცოდნას ადამიანი იძენს სხვა-და-სხვა გზით, მაგ-
რაც მათ შორის პირველი ადგილი უჭირავსთ დაკვი-
რებას და გამოცდას. როცა ადამიანი თვალ-ყურს ადგვ-
ნებს იმ მოელენებს, რომლებიც თავის-თავად სწორ-
ბიან ხოლმე ბუნებაში და ჩვენზე სრულებით არ არიან

დამოკიდებლნი, ამას ეწოდება დაკვირება. მაგალითად:
ჩეენ ვამჩეენთ ბუნებაში წეიმას, თოვლს, ცვარს, ელვას,
ქუხილს და ვშინჯავთ იმფრად, რა ფრადაც წარმოგ-
ვიდგენს იმათ ბუნება; ვაკვირდებით და შევისწავლით
ხოლმე. მაგრამ, რადგანაც ბუნება ყოველთვის, რო-
ცა საჭიროა, და არც ყოლგან არ წარმოგვიდგენს
ჩეენ იმ მოელენებს, რომლებიც გვინდა შევისწავ-
ლოთ, ამიტომ ადამიანი სკიდილობს თეითონ შექმ-
ნას ხელოვნურად, როცა საჭიროა, ზოგიერთი ბუნე-
ბის მოვლენა და ისრე შევისწავლოს ხოლმე. მაგალი-
თად, ადამიანი ჰეხავს ერთი სხეულით მეორეს და
რწმუნდება რომ ხეხის, ღროს ალიძერის სითბო; ათ-
ბობს წყალს და ხედავს, რომ სითბოსაგან იგი ორთ-
ქლად იქცევა და აღის ჰაერში; ტუჩე ხელს იფარებს
და რწმუნდება, რომ სულის მოუთმელად, ესე იგი,
ჰაუკლაპავად მას სიცოცხლე არ შეუძლია და
სხვა. ამ სახით ხელოვნურად მოვლინების ანუ ფაკ-
ტებს შექმნას ადამიანის მიერ იმ მიზნით, რომ შე-
ისწავლოს იგინი, ეწოდება გამოცდა (ეკსპერიმენტი).

მაშასადამე, გამოცდა დაკვირებისაგან მითი გა-
ნირჩევა, რომ მას აუამიანი თეით აჩენს ხელოვნუ-
რად იმ ჰაზრით, რომ გამოიკულიოს მოვლენა და
შეისწავლოს; დაკვირებით-კი იგი მხოლოდ იმ მოე-
ლენებს აკვირდება, რომლებსაც თეით ბუნება წარ-
მოგვიდგენს ხოლმე უკაცის-ხელოდ.

გამოცდას ის უპირატესობა აქვს დაკვირებაზე,

რომ ადამიანს, თითქმის, ყოველთვის და ყოველგან
შეუძლია მოახდინოს იგი იმდენჯერ, რაც დენჯერაც
სურს და იმ ზომით, რა ზომითაც საჭიროა მისთვის.
ამას თანავე მის ჩებაზეა დამოკიდებული, იმდენს
ხანს გააგრძელოს გამოცდა, რაც დენჯერაც უნდა.
შუნების მოვლენანიკი იმ დროსაც და იმ ადგილს
არა სწორებიან ხოლმე, როცა ანუ სადაც საჭიროე-
ბა მოთხოვს; მეორეც, იმ ზომით მოხდება და ისრე
ჩქარა თავდება რომ ძრიელ ძნელია ადამიანისათვის
დაკვირვება და გამოკვლევა. — ერთი სიტყვით, ბუნების
მოვლენები არ ემორჩილებიან მის სურვილსა და შიზანს.

რადგანაც დაკვირებისა და გამოცდის დროს პაზ-
რონებას გამოყავს კერძო ფაკტებიდგან საზოგადო
კანონები, რომლებსაც იგინი ექვემდებარებიან, ამი-
ტომ ცხადია, ორივე იგინი ინდიქტიურ გზას წარმო-
გვიდგენენ.

§ 24. გამოყდით გამოკვლევის მეთოდები.

ყოველს მოვლენას ბუნებისას უსათუოდ თავი-
სი საკუთარი მიზეზი აქვს და უმიზეზოთ არასფერი არ
მოხდება ხოლმე. ამიტომ გამოცდით გამოკვლევის
დანიშნულებაც იმაში მდგომაორეობს, რომ იპოვოს
გამოსაკვლევი მოვლენის მიზეზი, ანუ, უკეთა ვსოდე-
ვათ, ის კავშირი, რომელიც აჩსებობს ორ მოვლე-
ნათა შორის, რომელთაგან ერთი შიზეზია და მეორე

მისი შედეგი. მაგრამ, რაღვანაც ის მოელენა, რო-
მელიც მიზეს შეარდება, ყოველთვის წინ უსწრებს
თვისს. შედეგს, ამიტომ მოელენის მიზეზის პოვნა
სწორებ იმაში მდობარეობს, რომ იმ მრავალ მოე-
ლენათა შორის, რომლებიც მას წინ უძლებან, ვი-
პოვოთ ნამეილად ის მოელენა, რომელიც მისს სა-
კუთარ მიზეს შეარდება.

ამ მიზნის მისახწევად ჰქმარობენ გამოცდით გა-
მოკლევის ოთხ მეთოდს. ეს ოთხი მეთოდი არიან:
მეთოდი თანხმობისა, მეთოდი განსხვავებისა, მეთოდი
თანხმომურად ცვლილებათა და მეთოდი დანარჩენთა.

1. თანხმობის მეთოდად იწოდება ის ხერხი გა-
მოცდით გამოკულევებისა, რომლის საშვალებით დაასკუ-
ნიან ხოლმე, რომ ყველა იმ მოელენებთვან, რომლე-
ბიც წინ უსწრებენ გამოსაკულევ მოვლენას, უკანას-
კნელის მიზეზად ის მოელენა უნდა ჩაითვალოს, რო-
მელიც ბადავს მას ყოველ შემთხვევაში გამოკულევის
დროს. მაგალითი. მეცნიერებმა შენიშვეს, რომ წყალ-
ში, რომელიც გარე ანუ თავ ახდილ ჭურჭელში სდ-
გას, რამდენიმე ხნის შემდეგ სჩნდებიან პატარ-პატა-
რა ცოცხალი არსებანი (ინფუზორები). მოინდომეს ამ
საკვირველი მოვლენის მიზეზის პოვნა. ზოგნი ფიქ-
რებდნენ, რომ ეს ცოცხალი არსებანი სჩნდებიან
წყალში თავის-თავად სითბოსა და სინათლის გავლე-
ნით. სხვებს-კი შეუძლებლად მიაჩნდათ ამ გზით ცოც-
ხალ არსებათა გაჩენა და ამ მოვლენის მიზეზად ჩას-

თვალეს ის, რომ წყალში უსათუოდ ორგანიულ არ-
სებათა პატარა თესლები უნდა იყნენ და ახალი ცხო-
ველები იმათგან სჩნდებიან რ. შაუდგნენ გაომტკა-
ლა, მართლაც, აღმოჩნდა, რომ უთესლოდ ცოცხალ
არსებათა გაჩენა წყალში ყოველ შემთხვევაში შეუძ-
ლებელია. აქედამ გამოიყენეს ის დანასკვენი, რომ
მოხსენებული მოვლენის მიზეზი არის ის გარემოება,
რომ წყალში სცვიერან თრგანიულ არსებთა თესლე-
ბი და ინფუზორებიც მათგან იბადებიან.

2. მეთოდი განსხვავებისა არის ისეთი მეთოდი გა-
მოცდით გამოკვლევისა, რომლის საშუალებით რწმუ-
ნდებიან, რომ ყველა იმ მოვლენათაგან, რომლებიც
წინ უძლეიან გამოსაძიებელ მოვლენას, მის მიზეზად
უნდა ჩაითვალოს სწორედ ის მოვლენა, რომლის მოს-
პობითაც ისპობა თევით გამოსაკვლევი მოვლენა. ამ
მეთოდის საშუალებით, მაგალითად, მეცნიერები დარ-
წმუნდნენ, რომ თუმც წყალში, როგორმე, შოვსპერ
თესლები, მაშინ შეუძლებელია მასში ცოცხალი არ-
სებანი გაჩნდნენ თავის-თავად.

3. თან-მომყოლ ცვლილებათა მეთოდი იმ მე-
თოდს ეწოდება, რომლის საშუალებითაც რწმუნდე-
ბიან, რომ ყველა წინ-მძლოლ მოვლენათაგან, ნამდ-
ვილი მიზეზი გამოსაკვლევი მოვლენისა უნდა იყოს
ის მოვლენა, რომლის შეცვლა ახდენს ცვლილებას.
თევით საძიებელ მოვლენაში. თუმც გვსურს, მაგალი-
თად, დაერწმუნდეთ, რომ შეკუმშვა და გაწევა სხე-

ულთა დამოკიდებულია ტემპერატურის მდგრადარე-
ცბაზე და, მაშა-სადამე, ის უნდა იყოს მოხსენებუ-
ლი მოვლენის ჩამდევილი მიზეზი, ჩვენ შეგვიძლია,
თან-მომყოლ ცვლილებათა მეთოდის საშუალებით,
შევცვალოთ სხეულის ტემპერატურა, ესე იგი, ან
მოუმატოთ და ან მოუკვლოთ მას, რის გამოც და-
ვინასავთ, რომ ტემპერატურის მომატების ფორმა,
სხეული გაიწევს, ხოლო მოკლებისა-თანავე, პირ-
იქით, სხეული დაპატარავდება.

4. ბოლოს, დანარჩენთა მეთოდს შეარდგენს
ისეთი მეთოდი, რომლის საშუალებით გამოყავთ,
დანასკვენი ამ სახით: თუმც ჩვენ დარწმუნებით ვი-
ცით, რომ რთულ მოვლენაში ყველა წინმსწრები
მოვლენანი ერთის გარდა, შეარღვენენ მიზეზებს სხვა-
თა მოვლენათა, გარდა ერთისა, მაშინ ის ერთი დარ-
ჩენილი წინ-მსწრები მოვლენა იქმნება მიზეზი იმ
ერთის დარჩენილი შედეგის მოვლენისა. ჩვენ ვიცით,
მაგალითად, რომ ჰაერი შეარდგენს სულის-თქმის
მიუტილებელ საჭირო პირობას; მაგრამ ჰაერი, რო-
გორც ვიცით, შესდგება სამი ელემენტისაგან: ნაშ-
ხირ-ბადისაგან, აზოტისაგან და მჟავ-ბადისაგან. ესლა
ვიკითხოთ, ამ სამ ელემენტთაგან რომელი ელემენტი
შეველის სულის თქმას? გამოცდიდამ ვიცით, რომ
აზოტი და ნაშხირ-ბადი სრულიად სხვა თეისებისა
არიან. მაშა-სადამე სულის-თქმას შეველის დარჩე-
ნილი მესამე ელემენტი, ესე იგი, მჟავ-ბადი.

§ 25. ემპირიული კანონები და კიბოტეზა.

სამეცნიერო გამოცდის ყველა მეთოდებს ის თავი-და-თავი მიზანი აქვსთ, რომ იპოვონ მოვლენათა გამოკვლევით საზოგადო და უცელელი კანონები; რომ ლებსაც ექვემდებარებიან ყველა ერთ-გვარი მოვლენანი. ესეთ კანონებს შეაჩვენენ, მაგალითებრ: კანონი ქვეყნიერების მიმზიდველი ძალისა, რომელსაც ექვემდებარება ურთიეროვნობა ყველა ზეციერ სხეულთა (მზისა, მთვარისა, დედა-მიწისა და ვარსკვლავთა); კანონი ნათელისა და სითბოს გაუჩელებისა და სხვ. მაგრამ ამგვარი საზოგადო კანონების გამოკვლევა და პრენა ერთბაშად შეუძლებელია. იმათ წინ უძლესთ მრავალი დაკუირება და გამოცდა. ამიტომ, მინამ ჩვენ ბუნების საზოგადო კანონებს მიეაგნებდეთ ანუ ვიპოვიდეთ, რძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ ჩვეულებრივ მით, რომ დაკუირებისა და გამოცდის საშუალებით გამოგეყივს კერძო დანასკვენები, რომლებითაც შეგვიძლია აეხსნათ და განემარტოთ კერძო მოვლენები. აი ასეთ კერძო დანასკვენებს უწოდებენ ემპირიულ კანონებს. მაგალითი: ემპირიული გამოკვლევით მეცნიერები დარწმუნდნენ, რომ ჭაობიანი ადგილების ორთქლი არის მიზეი ციების გაჩენისა (ემპირიული კანონი), მაგრამ ეს დანასკვენი

ჯერ კიდევ საკმაო არ არის შისთვის, რათა იცნან
არსი და თვისება თვით იმ ორთქლისა, რომელიც
ვრცელდება ჰაერში, სწამლავს ადამიანის გვამს და
აჩენს ციებას.

ამას გარდა, რადგანაც გამოკულევის ინდიქტიურ
მეთოდებს ყოველთვის არ მივყევართ ჩვენ საწადელ
მიზნამდის, ესე იგი, ჭეშმარიტების პოვნამდის, იმი-
ტომც იძულებული ვართ დავკმაყოფილდეთ დროშ-
დის შესაძლებელი, მაგრამ საეჭვო, დანარდგენით იმ
მოვლვნათა გასაგებად, რომლებიც ვვინდა აეხსნათ.
ამგვარ საეჭვო დანარდგენებს ეწოდებათ ჭიშრატეზა.
მაგალითი: რადგანაც მეცნიერებმა ჯერ-ჯერობით
ვერ ახსნეს, რა არის ნათელი, აი რა ნაირი ჰიპოტე-
ზებით კმაყოფილდებიან: უწინ ფიქრობდნენ, რომ
ნათელი არის სითხე რაც, რომელიც მომდინარეობს
შისაგანო; ეხლა-კი ფიქრობენ, ვითომც ნათელი უნ-
და იყოს მოძრაობა ანუ ტრიალი ჰეთირთა.

ჰიპოტეზა მაშინ ითვლება უფრო ნამდვილად
და შემძლედ, როდესაც იგი რიგიანად ხსნის იმ მოვ-
ლენას, რომლისთვისაც არის შედგენილი; როცა
იგი მარტივი, ბუნების შესაფერია და არ ეწინააღმ-
დეგება არც ერთს იმ საზოგადო ბუნების კანონებს,
რომლებიც უკვე გამოკულეული და ნაპოვნი არიან.

§ 25 ანალიზური და სინტეზური მეთოდები.

ჩვენი ჰაზროვნება ყოველთვის, როცა ან ცოდ-
ნას იძენს, ან შეძენილ ცოდნას გონიერებაში შაიმუ-
შავებს ხოლმე, შეაერთებს, წესიერებაში მოიცვანს
და წარმოსთქვამს და ან კიდევ, როცა საჭიროა,
ადამიანმა თავისი ცოდნა სხვას გადასცეს, ორ მე-
თოდს ჰქმარობს: ანალიზურს ანუ სინტეზურს.

პირველი მეთოდი არის ისეთი გზა ჰაზროვნე-
ბის მოქმედებისა, რომლის საშუალებით ჩვენ ვანა-
წილებთ, ვიკილევთ და შავისწავლით ჯერ კერძო
ფაქტებს ანუ მოვლენებს და შემდეგ გამოგვყავს
იმათვან საზოგადო კეშმარიტება ანუ კანონები, რომ-
ლებსაც ექვემდებარებიან სათითაოდ ყველა რომელიმე
ერთგვარი ფაქტები, და ამ წესით ავდივართ მაღლა.

პირ-იქით, როცა ჰაზროვნება სინტეზური მე-
თოდით მუშაობს, მაშინ იმ საზოგადო კანობებთა
შემწეობით, რომლებიც გამოკვლეული და წაპოვნი
არიან ანალიზური მეთოდით, ხსნის ხოლმე კერძო
ფაქტებს ანუ მოვლენებს და ამ გვარად ჩამოდის
მაღლიდგან ქვემოდ. მაგალითები: 1) მეცნიერმა
გალილეიმ იმ კერძო მოვლენათა გამოკვლევით და
შესწავლით, რომ ყოველი სხეული მაღლიდგან ქვე-
მოდ უარდება დედა-მიწის ზურგზე, ანალიზური

გზით, იპოვა საზოგადო კანონი შესუნიერი მიმზიდ-
გელობისა, ესე იგი, ის საზოგადო კუშმარიტება, რომ
ჩვენ დედა-მიწას აქვს ისეთი ძალა, რომელიც იზი-
დავს ყოველ სხეულს. 2) მეორე მეცნიერმა, ნიუ-
ტონმა გამოიკვლია და შეისწავლა კერძო პლანეა-
ტების მოძრაობის წესი და აქედამ გამოიყვანა, ანა-
ლიზური გზით, საზოგადო დანაკვენი, რომ ის ძა-
ლა, რომელსაც ექვემდებარება პლანეტების მოძ-
რაბა, არის ძალა მიმზიდველობისა. ეხლა, რაკი მოხ-
სენებული საზოგადო კანონები ნაპოვნი არიან ანა-
ლიზური მეთოდით, და ჩვენ ვიცით ისინი, ადვი-
ლად შეგვიძლია გავიგოთ და აეხსნათ ის 1) თუ
რა მიზეზია, რომ ადამიანები, ცხოველები, შენობები
ქვები და სხვა სულიერი და უსოლო საგნები არ შორ-
დებიან დედა-მიწის ზურს, რომელიც ბურთივით მგერა-
ლია და ჰაერში ტრიალობს, და არ ვარდებიან ჰაერში.
2) ან კიდევ ის საკვირველი მოელენაც, რომ რა
ძარა იჭერს თვით დედა-მიწას, რომ ტრიალებს ჰა-
ერში და არ შორდება იმ ადგილს, რომელიც მას
უჭირავს.

ამ ორ მეთოდს ჰქმარობს ადამიანის გონება,
როგორც ზემოთა ვსთქვით, აგრეთვე მაშინ, როცა
შეძენილ ცოდნას განმარტავს და ანუ სხვას გა-
დასცემს.

ანალიზი და სინტეზი საჭირო არიან ადამიანის

გონების გახნისა და განვითარებისათვის და, მაშა-
სადამე, მეცნიერებისთვის. მაგრამ თავდა-პირველად
თვითეული ადამიანის სულიერი გახსნა მისდევს ხოლმე
ანალიზურ გზას: ჩვენ პირველად ვაკვირდებით, ვა-
ვიცნობთ და შევისწავლით ხოლმე კერძო საგნებსა
და მოვლენებს და ამ გვარად ვიძენთ ცოდნას. მერ-
მე-კი, როცა ამ გზით გაემდიდრდებით ცოდნით, ვი-
პოვით საზოგადო კანონებს, შეგვიძლია ეს კანო-
ნები შეუფარდოთ კერძო მოვლენებს და აღვილად
ავხსნათ მათი საბულებით.



16

o 724